

მასალები

XIX საუკუნის 10-იანი წლების
საქართველოს ისტორიისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

Data for the Early 19th Century History of Georgia:

Joseph Shagubatov – Description of the
Internal Situation of East Georgia and
Imereti

The Georgian translation of the Russian text,
research, commentaries, indices, and facsimiles
is presented for publishing by
Apolon Tabuashvili and Giorgi Zhuzhunashvili

Tbilisi 2015

მასალები

XIX საუკუნის 10-იანი წლების
საქართველოს ისტორიისათვის:

იოსებ შაგუბატოვი – აღმოსავლეთ
საქართველოსა და იმერეთის საშინაო
მდგომარეობის აღწერა

რუსული ტექსტის ქართული თარგმანი,
გამოკვლევით, კომენტარებით, საბიებლებითა
და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს
აპოლონ თაბუაშვილმა და გიორგი უუჯუნაშვილმა

თბილისი 2015

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 1819 წელს შედგენილი რუსულენოვანი ტექსტის ქართული თარგმანის პუბლიკაციას გამოკვლევით, კომენტარებით, საძიებლებით და ფაქსიმილებით. დოკუმენტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Ros-110). მის ავტორია იოსებ შაგუბატოვი. თხზულების ავტორისეული სათაურია: „აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა“.

წყარო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხის შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის. ხელნაწერი ეხება საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან საკაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს...

რედაქტორი: როლანდ თოფჩიშვილი



აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის № 52/16 მეშვეობით.

არაკომერციული გამოცემა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© ა. თაბუაშვილი, გ. უუჟუნაშვილი

ISBN 978-9941-10-955-3

სარჩევი

გამოსაცემად მომზადებული ტექსტის წყაროთმცოდნეობითი	
მნიშვნელობა.....	6
ტექსტის ქართული თარგმანი	17
Summary	57
საძიებლები.....	59
დედანი.....	71

გამოსაცემად მომზადებული ტექსტის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა

საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა – მათი საქმიანობა, ტრადიციები, სოციალური და ეკონომიკური კითარება და ა.შ., განსაკუთრებით მცირე რაოდენობის პირველწყარო გაგვაჩნია. ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს უცხოელ მოგზაურთა (შარდენი¹, ტურნეფორი², გიულდენშტედტი³ და სხვ.) ჩანაწერები, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ ავტორებისათვის ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი ნიუანსი უცნობი იყო, რის გამოც მათთვის გაუგებარი რჩებოდა ბევრი საკითხი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნებისმიერი წყარო, რომელიც ამ საკითხების შესახებ ავსებს ჩვენ ინფორმაციას, ყურადღებას იმსახურებს. სწორედ ამ სახის თხზულებაა დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ეს არის 1819 წელს შედგენილი საქართველოს საშინაო ვითარების ამსახველი ცნობები. მასში მრავალი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა თავმოყრილი. როგორც ტექსტიდან ირკვევა, აღნიშნული თხზულების ავტორია იოსებ შაგუბატოვი. რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომის ავტორისეული სათაურია: „აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა“⁴. ავტორის შესახებ ნაშრომში არანაირი ინფორმაცია არ არის დაცული, არც ნაშრომის დაწერის მიზანია განსაზღვრული. იოსებ შაგუბატოვის ბიოგრაფიის შესახებ ჩვენ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია.

შაგუბატოვები XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ქართულ საისტორიო საბუთებში დაფიქსირებულები არიან როგორც თბილისში მცხოვრები სამეფო აზნაურები⁵. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო, თუმცა, იმავდროულად, შაგუბატოვებს ქართლ-კახეთის

¹ იხ.: ქან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975.

² იხ.: ჟ. ბ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარი დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1988.

³ იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1964; ტ. II. თბ. 1964.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – Ros-110.

⁵ იხ.: Грузинские дворянские грамоты. Составиль Д. П. Пурцеладзе. Тифлис 1881, გვ. 30; Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II. Изданъ подъ редакцією предѣседателя комиссіи А. Д. Берже. Тиф. 1868, გვ. 91, 1022.

სამეფო კარზე სხვადასხვა თანამდებობებიც ეკავათ⁶. თავად იოსებ შაგუბატოვიც ცნობილია სავაჭრო საქმიანობით. ასევე ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში დამყარებულ რუსულ მმართველობაში მას სხვადასხვა თანამდებობებიც ეკავა.⁷ ამავე საუკუნის 10-იან წლებში კი თბილისის პოლიციელისტერი იყო⁸.

თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იოსებ შაგუბატოვს იმდროინდელი საქართველოს შესახებ მრავალი ოფიციალური მონაცემი ექნებოდა ხელთ. ამ მოსაზრებას გვიმყარებს თავად ნაშრომის შინაარსი, სადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მრავალი საინტერესო საკითხის შესახებ ცნობები არის არა ზოგადი, არამედ ხშირ შემთხვევაში დაწვრილებითი და კონკრეტული.

იოსებ შაგუბატოვის შედეგნილი „აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის საშინაო მდგომარეობის აღწერა“, თუ არ ჩავთვლით მიხელ სამსონაძის მიერ თავის ნაშრომში რამდენიმე ცნობის დამოწმების ფაქტს⁹, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფაქტობრივად უცნობია.

იოსებ შაგუბატოვის ცნობები, ვფიქრობთ, ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მას განხილული აქვს რიგი საკითხები, რომლებიც სხვა წყაროებში არ გვხვდება.

მოკლედ შევეხებით წყაროს არქიტექტონიკას: მცირე გეოგრაფიული ექსკურსის შემდეგ აღწერილია თბილისი, შემდეგ ვაჭრობა-ხელოსნობა, მოსახლეობის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ასევე, მათი სამეურნეო საქმიანობა.

ავტორის მიერ აღწერილი თბილისის იერსახე, ძირითადად, ემთხვევა როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებს¹⁰, ასევე, XVIII საუკუნეში შედგენილ გეგმებს¹¹, თუმცა, ბუნებრივია, მასში ასახულია ის ცვლილებებიც, რომლებიც XIX საუკუნის 10-იან წლებში განხორციელდა. აღწერილობიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში „გარეთუბნის“ მახლობლად გაჩენილა ახალი დასახლება, სადაც მანამდე მეფეთა ბაღები და ვენახები იყო გაშენებული. იოსებ შაგუბატოვის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ

⁶ მაგ., 1795 წელს აზნაური ავტიქ შაგუბატოვი სამეფო კარის მდივნად დაინიშნა (იხ.: კავკასია ქართულ წყაროებში. უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები. ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2012, გვ. 17).

⁷ მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში. თბ. 1980, გვ. 46.

⁸ Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. VI. Ч. I. Тиф. 1874, გვ. 12, 446-447.

⁹ იხ.: მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში.

¹⁰ იხ.: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 333-338.

¹¹ იგულისხმება ვახუშტის 1735 წლის, ალ. პიშჩევიჩის 1785 წლის და კაპიტან ჩუიკოს 1800 წლის გეგმები.

ეს უბანი მოიცავდა ამჟამინდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიას და სოლოლაკის ნაწილს. აქ, ძირითადად, ადმინისტრაციული შენობები იყო განთავსებული: მთავარმართებლის სასახლე და მის მახლობლად დიდი სახაზინო ბაღი, რომელსაც მდიდრული აუზი ჰქონია; ამ სასახლის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე თავისი არქიტექტურით გამორჩეული ყოფილა არსენალისა და სამხედრო პოსტის შენობები, ასევე, გრანიტის ლამაზი შენობა – სახაზინო სახლი. აქვე არაერთი სახაზინო დაწესებულების ნაგებობა ყოფილა. მათ გარშემო კი მრავალი ახალი მდიდრული არქიტექტურით აგებული კერძო სახლი მდგარა. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან დაიწყო სოლოლაკში ბაღების გაჩეხვა, რომელთა ადგილი დაიკავა თბილისის მაღალი ფერის წარმომადგენელთა სახლებმა.

ამასთანავე, შაგუბატოვის ცნობებიდან ვიგებთ, რომ 1819 წლისათვის რუსულ მმართველობას უკვე აუგია მეტების საპყრობილე.

XIX საუკუნის დასაწყისის თბილისის ახალი განაშენიანების შესახებ დაწვრილებითი ცნობების გარდა, ავტორი არანაკლებ საინტერესო დეტალებს გადმოვცემს თბილისის ძველი კვარტლების არქიტექტურის, საკულტო ნაგებობების, ქუჩების და ა.შ. შესახებ. ავტორის ცნობით, თბილისში სულ 3700 საცხოვრებელი სახლი ყოფილა. ზოგიერთ სახლს ჰქონდა ბაღი, რომლებიც ირწყვებოდა კოჯრისა და წავისის მთებიდან გამოყვანილი სარწყავი წყლით. მისივე გადმოცემით: „მოქალაქეთა ყველა სახლი ქვისაა, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილია ნაგები კირით. დანარჩენი აშენებულია თიხით. გარედან და შიგნიდან გაჯით არის შელესილი“. ქალაქში 44 ეკლესია იყო. ავტორი მათგან გამოარჩევს „სიონად წოდებულ ქართულ ეკლესიას“, „მაღალი სამრეკლოს მქონე სომეხთა მონასტერ ვანქს“ და „მოღნინის სახელზე აგებულ სომხურ ეკლესიას“. ასევე, ყურადღებას ამახვილებს კათოლიკთა ეკლესიაზე, „არც თუ დიდ, მაგრამ საკმაოდ კარგ მდგომარეობაში მყოფ მეჩეოზე“, „ქალაქთან ახლომდებარე... 2000 წლის წინ ნაგებ და დღესაც კარგ მდგომარეობაში მყოფ წარმართულ გუმბათიან სამლოცველოზე“. წარმართულ სამლოცველოში ავტორი უნდა გულისხმობდეს ათეშებს, რომელიც დგას სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, კლდისუბანში, ამჟამინდელ გომის ქუჩაზე.

ყურადღებას იქცევს ნარიყალას და მეტების ციხეების აღწერა – 1819 წლისათვის ნარიყალაში ჯერ კიდევ მდგარა ქვით ნაგები ეკლესია და მეფის სასახლე; ავტორის გადმოცემით ციხის წყლით მომარაგებისათვის მტკვრამდე გაყვანილი ყოფილა მიწისქვეშა გვირაბები, რომელთაგან ერთი ავლაბრის ხიდის ქვეშ ჩადიოდა მტკვრამდე, მეორე კი ციხის დასავლეთით მდებარე წყაროებამდე აღწევდა. აღყის შემთხვევაში ქველი მეტების ციხესაც ჰქონია მტკვრამდე მიმავალი მიწისქვეშა გასასვლელი წყლით

მოსამარაგებლად.

ერთი სიტყვით, იოსებ შაგუბატოვი, როგორც XIX საუკუნის 10-იანი წლების, ასევე, შედარებით ადრინდელი ეპოქის თბილისის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის.

ავტორი საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის თბილისის მოსახლეობის შესახებ. იოსებ შაგუბატოვს, როგორც სახელმწიფო მოხელეს, დეტალური მონაცემები ჰქონია ხელთ. იგი გადმოგვცემს მოსახლეობის სულადობრივ რაოდენობას: ცალ-ცალკე აღწერილია მამაკაცების და ქალების, ქართველების და სხვა ეთნიკური წარომავლობის ადამიანთა რაოდენობა.

ვიდრე უშეალოდ შაგუბატოვის ცნობებს შევეხებით, მოკლედ მიმოვისილავთ აღნიშნული ეპოქის თბილისის მოსახლეობის შესახებ არსებულ მონაცემებს. XIX საუკუნის პირველი ათეული წლების თბილისის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა საკმაოდ რთულია. სხვადასხვა წლებში შედგენილი მონაცემები მნიშვნელოვან განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მეორე ტომში გამოქვეყნებულია ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1803 წლის იანვარში ჩატარებული აღწერის მიხედვით, თბილისში, გარეუბნების ჩათვლით, ყოფილა 3000 სახლი, 20 000 მცხოვრებით¹². აღნიშნულ წყაროსაგან განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული იმავე აღწერის მონაცემები. წყარო გამოქვეყნებულია 1925 წელს ს. კაკაბაძის მიერ¹³. ს. კაკაბაძის მონაცემებით 1803 წლისათვის თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 12 000 ადამიანზე ნაკლებს¹⁴. მონაცემებს შორის არსებულ განსხვავებას ს. კაკაბაძე შემდეგ ახსნას უძებნის: „.... აღწერილობაში წარმოდგენილია მხოლოდ სრულწლოვანი მოსახლეობა, მცირეწლოვანნი აღრიცხვაში არ ყოფილან შეტანილი. ამ საკითხში შეიძლება სინათლე შეიტანოს თვით აღწერის წარმოების ინსტრუქციამ, უკეთუ ასეთი მომავალში აღმოჩნდება“¹⁵. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ს. კაკაბაძე მიიჩნევს, რომ თბილისის მოსახლეობა 1803 წლისათვის შეადგენდა 20 000 ადამიანს.

განსხვავებულია შ. კაკურიას შეხედულება. მისი აზრით, მონაცემებში არასრულწლოვანი მოსახლეობაცაა დაფიქსირებული. თუმცა მიიჩნევს, რომ გამოკითხული მოსახლეობის უნდობლობის, აღმწერების ნაკლები

¹² Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссиею. Т. II, гг. 1046.

¹³ ს. კაკაბაძე. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის. საისტორიო მოამბე. წ. II. ტფ. 1925, გვ. 27-104.

¹⁴ აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ს. კაკაბაძეს გამოთვლილი აქვს საერთო ციფრი – 11 805 ადამიანი (იხ.: ს. კაკაბაძე. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის, გვ. 29); შ. კაკურია ამ მონაცემს აზუსტებს და მიუთითებს 11 906 მოსახლეს (იხ.: შ. კაკურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბ. 1979, გვ. 12).

¹⁵ ს. კაკაბაძე. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის, გვ. 29.

კონპეტენციის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მოსახლეობის 10-15 პროცენტი გამოტოვებული უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შ. კაპურია თვლის, რომ 1803 წლისათვის თბილისის მოსახლეობის რიცხვი რუსული ჯარის და რუსი მოხელეების გარეშე უნდა ყოფილიყო 13 700¹⁶.

შ. მესხიას აზრით, ამ პერიოდში თბილისში 14 620 ადამიანი ცხოვ-რობდა. აღნიშნული ციფრი გაანგარიშებულია შემდეგი მეოთხდით: 1803 წლის აღწერის მიხედვით, თბილისში 2924 კომლი ირიცხებოდა, ერთ კომლში ხუთი ადამიანის ათვლით სწორედ აღნიშნულ ციფრს ვიღებთ¹⁷.

1807-1808 წლებში საქართველოში იმყოფებოდა გერმანელი ორიენტალისტი კლაპროთი, რომელიც აღნიშნავს: „ეხლა ტფილისში ირიცხება, იქ მცხოვრებ რუსი მოხელეებისა და ჯარის გარდა, 18 000 მკვიდრი, რომელთაგანაც დაახლოებით ნახევარს სომხები შეადგენენ. ტფილისში ირიცხება იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მე პოლიცმეისტერისაგან მივიღე... 3684 მესკუთრე სახლებისა“¹⁸.

თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ასეთივე განსხვავებული მონაცემები გვხვდება მომდევნო წლებშიც. მ. სამსონაძე სხვადასხვა საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ თბილისში 1816 წელს ფიქსირდება 10 001 ადამიანი, ხოლო 1823 წელს 29 859, 1832 წელს კი – 24 200¹⁹.

როგორც ვხედავთ, მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თითქმის ყველა ავტორი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, თანხმდება, რომ ცნობები არ არის ზუსტი და ხშირად იწვევს გაუგებრობას²⁰.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იოსებ შაგუბატოვის, როგორც სახელმწიფო მოხელის მონაცემებს, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მისი ცნობით, თბილისში, გარეუბნების (ავლაბარი, გარეთუბანი) ჩათვლით, 1819 წლისათვის 18 624 ადამიანი ცხოვრობდა, საიდანაც 9637 მამაკაცი და 8987 ქალი ყოფილა. მათგან ქართველი 1531 კაცი და 1535 ქალი იყო, მუსლიმი – 147 კაცი და 148 ქალი, კათოლიკე – 97 კაცი და 95 ქალი, დანარჩენები კი სომხები იყვნენ.

როგორც ვხედავთ, მონაცემები დეტალურია, რაც მის სანდოობის

¹⁶ შ. კაპურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., გვ. 14-15.

¹⁷ შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 260.

¹⁸ ს. კაჭაბაძე. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლის, გვ. 30-31.

¹⁹ გ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, გვ. 193.

²⁰ აღნიშნულ მოსახრებას აფიქსირებს თითქმის ყველა ავტორი (იხ.: პ. გუგუშვილი. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. I. თბ. 1949, გვ. 657-669; შ. კაპურია. ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ., გვ. 19; გ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მედში, გვ. 192 და სხვა).

ხარისხს ამაღლებს. ჩვენი აზრით, მას ხელო უნდა ჰქონოდა 1816-1817 წლების კამერალური აღწერის ოფიციალური მონაცემები. რაც შეეხება დასახელებულ ციფრს (18 624 მოსახლე), სრულიად ლოგიკურად მოჩანს²¹. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს შაგუბატოვის მიერვე აღწერილი თბილისის სივრცითი განშლა, რომლის მიხედვითაც, იმდროინდელი ქალაქი XVIII საუკუნის II ნახევრის თბილისზე უფრო ვრცელ ფართობს მოიცავდა. XVIII საუკუნის II ნახევრში კი თბილისში, გარეუბნების (ავლაბარი, გარეთუბანი) ჩაოცლით, დაახლოებით 20 000 ადამიანი ცხოვრობდა²².

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში თბილისის მოსახლეობა დაახლოებით იდენტური იყო და საშუალოდ შეადგენდა 18-20 ათასს ადამიანს. ბუნებრივია, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების (მაგალითად, ეპიდემიების, სამხედრო მოქმედებების) შედეგად დროდადრო მოსახლეობის რაოდენობა მცირედოდა, თუმცა არა კატასტროფულად²³.

ჩვენს ხელო არსებული წყაროდან ასევე ირკვევა, რომ XIX საუკუნის

²¹ 1816 წლისათვის თბილისის მოსახლეობას 20 000 მცხოვრებით განსაზღვრავს რუსი დიპლომატი და არქეოლოგი ალექსანდრე ნეგრი (იხ.: ჯ. სამუშა. თბილისის მოსახლეობა და ტერიტორია XVIII საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII. თბ. 2013, გვ. 191). აღნიშნული ცნობა უახლოედება შაგუბატოვის მონაცემებს.

²² იხ.: გიულდენშტკდტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართლი თარგმანითურო გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. II, გვ. 133; იაკობ რაინეგრი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 158; ჯ. სამუშა. თბილისის მოსახლეობა და ტერიტორია XVIII საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII, გვ. 185-93.

²³ ლიტერატურაში ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება, ბუნებრივია, აღა-მაპმად ხანის თბილისზე ლაშქრობის შედეგად მოსახლეობის მასობრივ კლებაზე მახვილდება. თუმცა ამ შემთხვევაშიც ცნობები ხშირად გაზრდადებულია. ჩვენთვის ცნობილია, რომ კრწანისის ბრძოლის წინ, 1795 წლის 8 აგვისტოს, თბილისიდან არაგვის ხეობაში მასობრივი ევაქუაცია განხორციელდა, რის შედეგადაც მოსახლეობის უმეტესობა სპარსელების ტყველის გადაუჩა. ასევე ცნობილია, რომ ერებლე II-მ 1796 წლის განჯაში ლაშქრობისას თბილისიდან წაფარილი ტყველის ნაწილი უკან დააბრუნა. ყველაზე მყრი არგუმენტი იმისა, რომ თბილისის მოსახლეობის კატასტროფული კლება არ მომხდარა, ეს არის 1795 წლის დამდელი საიჯარო ფასების შედარება 1801 წლის მონაცემებთან. 1801 წელს თოთქმის ყველა იჯარის ფასი ან უტოლდებოდა წინადედ მდგომარეობას, ანდაც მცირედით ჩამორჩებოდა მას. იჯარების ფასები კი პირდაპირპორციულად დამოკიდებული იყო მოსახლეობის რაოდენობაზე (დაწვრ. იხ.: ა. თაბუაშვილი. ერებლე მეორის ეპონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 117-120).

დასაწყისში რუსული მმართველობის დამყარების მიუხედავად, იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი მოსახლების ეთნიკური შეძლებებისა და იგი XVIII საუკუნის მიწურულის მსგავსი იყო. ბუნებრივია, რუსი ჯარისკაცები და მოხელეები თბილისის მოსახლეობაში არ იანგარიშებოდა. ასევე, ოფიციალურ მონაცემებში არ შედიოდა დროუბით მცხოვრები და საკუთრების არ მქონე მოსახლეობა. ამასთანავე, დიდი ალბათობით შესაძლებელია, რომ არც ის ოფიციალური მონაცემები იყოს სრულყოფილი, რომლითაც იოსებ შაგუბატოვი ხელმძღვანელობდა, რადგან აღნიშნულ ეპოქაში 100 პროცენტი სიჩუსტით აღწერის წარმოება თითქმის გამორიცხული იყო²⁴. ამდენად, თბილისის მოსახლეობა იმ დროს დასახელებულ ციფრზე მცირედით მაინც მეტი იქნებოდა.

იოსებ შაგუბატოვი მოსახლეობასთან ერთად ცნობებს გვაწვდის თბილისის ფართობზეც. ავტორის ცნობით, თბილისის ფართობი, გარეუბნების – ავლაბარის და გარეთუბანის – ჩათვლით, შეადგენდა 175000 კვადრატულ საუკუნს, რაც დაახლოებით 80 ჰექტარს უდრის²⁵. ამ ცნობაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვის გაანგარიშება: ჰექტარზე 233 ადამიანი. იმ შემთხვევაში თუ ოჯახს 5 წევრით განვსაზღვრავთ, ერთ ჰექტარზე დაახლოებით 46-47 კომლს უნდა ეცხოვოს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 175000 კვადრატული საუკუნი, ბუნებრივია, მხოლოდ საცხოვრებლად არ გამოიყენებოდა და აյ უნდა ვიგულისხმოთ მოედნები, ხევები და სხვა არა-საცხოვრებელი ტერიტორია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, თბილისის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ ჰექტარზე 46-47 კომლზე მეტი იქნებოდა²⁶. ეს მონაცემი თამამად შეგვიძლია გავავრცელოთ ზოგადად შუა

²⁴ ვ. ჯაოშვილის დაკვირვებით, 1873 წლის უკანასკნელი კამერალური აღწერის დროსაც კი გამოტოვებულთა რაოდენობა შეადგენდა 3,5 პროცენტს, ხოლო რაც უფრო ადრე ტარდებოდა აღწერა, მით უფრო მეტი იქნებოდა გამოტოვებულთა რიცხვი (იხ.: ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ. 1984, გვ. 70).

²⁵ ჯ. სამუშა მიიჩნევს, რომ თბილისის საერთო ფართობი XVIII საუკუნეში დაახლოებით 108 ჰექტარს შეადგენდა, რომელიც გამოოვლილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმის თანამედროვე რუკაზე დაფენის შედეგად (იხ.: ჯ. სამუშა. თბილისის მოსახლეობა და ტერიტორია XVIII საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII, გვ. 188-189). ეს მონაცემები უახლოვდება შაგუბატოვის მონაცემებს, რომელიც, სავარაუდო, თბილისის ფართობს არ მიათვლიდა სეიდაბადს და სხვა ბალგებს.

²⁶ ჯ. სამუშა მიიჩნევს, რომ თბილისში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე იყო ჰექტარზე 58 კომლი (ჯ. სამუშა. თბილისის მოსახლეობა და ტერიტორია XVIII საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII, გვ. 198). ეს

საუკუნეების თბილისზეც²⁷.

იოსებ შაგუბატოვის ცნობები ძვირფასი წყაროა ამ ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. მართალია, XIX საუკუნის დასაწყისისათვის აღნიშნული საკითხის შესახებ სხვა წყაროებიც გაგვაჩნია, ხოლო თავად შაგუბატოვის ცნობების ეკონომიკური ასპექტები მკვლევარ მ. სამსონაძეს მასშტაბურად აქვს გამოყენებული²⁸, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღწერაში დაცული ინფორმაცია ჯერ კიდევ საჭიროებს შესწავლას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შიდა ბაზრის აღწერა, საიდანაც ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქვეყანაში საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების, შინაგანი ინტეგრაციის პროცესი ძალზედ შორს იყო წასული. ბაზართან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს ქვეყნის ყველა კუთხის მოსახლეობა, მათ შორის დაბალი ფენები. ავტორის გადმოცემით: „მოდიან ტფილისში მთიულები, ფშაველები და ხევსურები. ზოგიერთ მათგანს ჩამოაქვს ლობით ლიტრა 20-ად (20 კაპიკად, ანუ აბაზად – ავტ.), ქაომები და მამლები – 10-ად (10 კაპიკად, ანუ ორ შაურად – ავტ.) და სხვა წვრილმანი. ყველაფერ ამას ცვლიან მარილსა და ბამბეულის ნაწარმზე. ტფილისისკენ მათ სავარაუდოდ 4 დღის გზა მაიც აქვთ გასავლელი. მათი ტანსაცმელი და სხვა აღკაზმულობა ცხენზე ან ჯორზეა აკიდებული. ერთი სიტყვით, მათ მიერ ჩამოტანილი საგნები გერცხლით 10 მანეთისა ძლივს იქნება. გლეხებს ჩამოაქვთ ტყეში შეგროვილი 1-2 საპალნე წაბლი, სელის ძაფი, საკმაოდ სქელი ტილო. ყოველივეს ჰყიდიან ფულზე, სამაგიეროდ ყიდულობენ ბამბეულის ქსოვილს, გამოყანილ თევზს, წელას, ხიზილალას და მარილს. იმერლების აღკაზმულობის ღირებულებაც კი 10 მანეთს ბევრად არ აღემატება. ამ წვრილმანი და უმნიშვნელო ვაჭრობისათვისაც კი დიდი სიამოვნებით მიღიან ტფილისში... მათ მოგების სურვილი იმდენად არ იზიდავს, რამდენადაც ცნობისმოყვარეობა“. ავტორი დეტალურად გადმოგვცემს ცალ-ცალკე კახეთის, ქართლის, მთიულეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის მოსახლეობის როგორც გასაყიდ, ასევე, მათ მიერ თბილისის ბაზარზე შეძენილ პროდუქციას.

საგანგებოდაა აღწერილი საგარეო ვაჭრობა. ავტორი ეხება რუსეთთან, ოსმალეთთან, სპარსეთთან, სამხრეთ კავკასიის სახანოებთან და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ვაჭრობის საკითხებს. დეტალურად აღწერს, როგორც სამპორტო, ასევე, საექსპორტო პროდუქციას. სავაჭრო

²⁷ ამ დასკვნამდე მივღივართ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, რომ 1819 წლისათვის უკვე მოხდებოდა აღა-ძაპმად ხანის შემოსევის შედეგების სრული აღმოფხვრა და მეორეც, ამავე აღწერიდანვე ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდისათვის რუსულ ხელისუფლებას ქალაქში კარდინალური ცვლილები არ ჰქონდა განხორციელებული.

²⁸ იხ.: მ. სამსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში.

პროდუქციის ასორტიმენტი ძალზე ფართოა, იმდენად ფართო, რომ ერთ შემთხვევაში, „მეწვრილმანების“ სავაჭრო პროდუქციის ჩამოთვლისას, როგორც ავტორი აღნიშნავს, მას ზოგიერთი პროდუქციის დასახელების რუსულად თარგმნა უჭირს.

საყურადღებოა თბილისელი ვაჭრების და ხელოსნების საქმიანობის დეტალური აღწერაც. ასეთ დაწვრილებით ცნობებს სხვა წყაროებში ვერ ვწვდებით და, შესაბამისად, მრავალ საინტერესო დეტალს ვიგებთ. მაგალითად, ავტორის ცნობით, „ბაყლები... ყველაზე მეტად წესვითა და საზამთროთი ვაჭრობენ, მათ იციან მთელი ზამთრით, ახალი მოსავლის შემოსვლამდე შენახვა“²⁹. დალაქების შესახებ აღნიშნულია: „დალაქები პარსავენ წვერსა და თბას, სისხლს უშვებენ ლანცეტითაც, ყანწითაც და წურბელებითაც, ისინი იღებენ კბილებსაც“. ჩამოთვლილია ბაზაზების, ყაზაზების, მეწვრილმანების, ბაყლების, სანთლებით მოვაჭრების, მეხამლების, ყაჯარდუზების, მექუდეების, მეწუდეების, ხარაზების, მეჩექმეების, კუპრავების, მაზმანების, მეზანდუკების, მეუნაგირების, ფალანდუზების, ფეიქრების, მჩითავების, ქეჩის ოსტატების, მებარგულების, მესაათების, მღებავების, ოქრომჭედლების და ზარგარების, ხმლის ოსტატების, მეჩამახების, ალაფების, მიკიტნების, სირაჯების, ნალბანდების, დურგლების, მხერხავების, ქვისმთლელების, დალაქების და ა. შ. საქმიანობა.

მანუფაქტურული საწარმოებიდან ავტორი გამოყოფს აბრეშუმის წარმოებას, ტყავის წარმოებას, რომელიც დაუხვეწავი ყოფილა, სამღებროებს, მეთუნეობას. საპნის სახარშები – ავტორის თქმით – არ ყოფილა სათანადო დონის, ხოლო ქვემეხებისა და ზარების ჩამოსასხმელი, მინისა და დენთის სამქროები იმ დროისათვის განადგურებული ყოფილა. ერთი სიტყვით, მანუფაქტურული წარმოება XVIII საუკუნის II ნახევართან შედარებით დაქვეითებული ჩანს³⁰.

ავტორი დეტალურად აღწერს მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას. მოგვითხრობს მშობიარობის, ნათლობის, ნიშნობის, ქორწინების, გლოვის, დღესასწაულების, ქალთა ხელსაქმეობის, ცრურწმენების და სხვა ზნეჩვეულებების შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში გამართული დღესასწაულების აღწერა, საიდანაც კარგად ჩანს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხთა თანაცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები: „საგანგებო დღესასწაული ეწყობა აღდგომის კვირას სადილის შემდეგ – სომხები და ქა-

²⁹ შესაძლებელია ამან განაპირობა კიდეც ხილის ამ სახეობის სახელწოდებაც კი – საზამთრო.

³⁰ XVIII საუკუნის II ნახევარში მანუფაქტურული წარმოების შესახებ იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის.

როველები (ძირითადად ქალები) წინა საღამოს შეიკრიბებიან ნორაშენის სომხურ ტაძართან და სეირნობენ. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს გააქვთ ტფილისის მახლობლად ჩრდილოეთის მთაზე მდებარე გამოქაბულში, სადაც თავს იყრიან ქართველი, სომები და მაპმადიანი ქალები, კაცები კი მარტო ქართველები და სომხები არიან. ამ ქვაბულში ლოცვების წასაკითხად არანაირი პირობა არ არსებობს. შუადღეს (2-3 საათისათვის) უკვე დიდგვაროვნებიც გამოჩნდებიან საყურებლად. მთელი ხალხი 2 ნაწილად იყოფა და ერთმანეთს მწყობრად და გაშმაგებით ჯოხებით შეებიან. ამ თამაშებს თაორულად და ქართულად ჯირითობას, დღესასწაულს კი გორიჯვარობას ეძახიან“.

საკმაოდ მდიდარი სურათია დახატული მოსახლეობის ყოფაცხოვრების შესახებ: „დაბალი ფენის ქალები ისვამენ ფერუმარილს, თვალებსა და წარბების შავად იღებავნ მელნის კაკლით, იფართოვებენ. თავად-აზნაურთა ქალები ამას თანდათან ერიდებიან.“

კაცებსა და ქალებს, რომელთაც აქვთ საუკეთესო ტანსაცმელი, მას მხოლოდ სადღესასწაულოდ იცვამენ, ჩვეულებრივ დღეებში კი უბრალო ტანსაცმელს იცვამენ. ქალები უფრო იპრაჩქებიან, იმიტომ, რომ ძირითადად ისინი დადიან ქორწილებსა და სხვა შეკრებებზე. კაბის გარდა, თავზე, მკერდზე, ყურებზე და თითებზე სხვა ბევრ სამკაულს ატარებენ. ზოგადად, კაბები ქალებს მდიდრული აცვიათ, ამიტომაც მათი ქმრები ვალიდან ვერ ამოდიან“.

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემობა, რომ ძირითადად აღწერილია თბილისური ყოფისათვის დამახასიათებელი ნორმები.

შედარებით მოკლედ, თუმცა ცალკეა აღწერილი „იმერეთის მიწის ნობათი და მისი მაცხოვრებლების ზნე-ჩვეულებები“, „ქართლისა და ანანურის მხარის შესახებ“, „კახეთისა და სიღნალის მაზრის შესახებ“, „ტფილისის მაზრისა და სამოურაოების შესახებ“.

ყურადღება გამახვილებულია, ასევე, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის განათლების დონეზეც. მაგალითად, ქართლის მოსახლეობის შესახებ აღნიშნულია: „უგვანონი ზოგადად გაუნათლებელი, სამაგიეროდ, თავად-აზნაურები და გორის მოქალაქენი განსწავლულები, ზრდილობიანები არიან“. ხოლო კახეთის – „გლეხები აქაც გაუნათლებელები არიან, არც თავად-აზნაურები და სამაზრო ქალაქების მაცხოვრებლები არიან მათზე წინ წასულნი, მაგრამ არიან ზრდილობიანები მიმართვაში და ზოგადად სამართლიანები. აქ დაბალი ფენის მოსახლეობა სიმამაცითა და გერგილიანობით თავადაზნაურობასაც კი უსწრებს“.

ავტორი, ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის შინამეურნეობის შესახებ. აღწერილია ორნე და პური გამოცხობის ტექნოლოგია, ხორბლის და ქერის მოყვანის ტრადიცია და მოსავლიანობის ოდენობა,

ღვინის დამზადების და არყის გამოხდის პროცესი, მეფუტკრეობა, ბრინჯის მოყვანა, სხვადასხვა სახის ზეთის გამოხდა, აბრეშუმის გამოყვანა, ბამბის თესვა და ბამბეულის ნართის გამოყვანა.

როგორც ვხედავთ, იოსებ შაგუბატოვის აღწერილობა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხის შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის. ვფიქრობთ, წყაროს პუბლიკაცია ხელს შეუწყობს აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის მრავალი ასპექტის უკეთ შესწავლას.

დოკუმენტი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
Ros-110

/1r/

აღმოსავლეთ საქართველოსა³¹
და იმერეთის
საშინაო მდგომარეობის
აღწერა

იოსებ შაგუბატოვის მიერ

ქალაქ ტფილისში³²
1819 წელი

³¹ ტექსტში მითითებულია საქართველო – იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

³² ტექსტში მითითებულია – თბილის.

/2г/ ვინაიდან მდინარე მტკვარი სხვა მდინარეებზე დიდია და მთელ საქართველოს კვეთს, ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე თავდაპირველად მისი აღწერა.

მდინარე მტკვრის აღწერილობა

მდინარე მტკვარი გამოედინება კოლას³³ და კარნუს მთებიდან, თურქეთის სამფლობელოებიდან, მიედინება ქართლის სამცხეზე³⁴, გაივლის მიწებს: ჰერეთს³⁵, რანს და მოვაკანს. სალიანის ქვემოთ, არაქსთან შეერთების შემდეგ, კასპიის ზღვაში ჩაედინება. ზოგ ადგილას ისეა გაშლილი და თავთხელი, რომ ფონს იოლად გახვალ, ხოლო ვიწროებში საქმაოდ ღრმაა³⁶. მასში ჩაედინება შემდეგი მდინარეები: კოლას წყალი³⁷, არტაანის წყალი, ჯავახეთისა და სამცხის წყლები, რომლებიც თურქეთის ოლქებიდან მოედინებიან; ქართლის, კახეთის, ჰერეთის³⁸, რანის და მოვაკანის და ყაზახ-შამშადილუს ყველა მდინარე, სულ 59 მდინარეა. მტკვრის წყალი, განსაკუთრებით სამცხესა და ქართლში, სასმელად სასიამოვნოა, მასში მრავლადაა სხვადასხვა სახის გემრიელი თევზი. ნაპირი ალაგ-ალაგ ფრიალოა, ტყითაა დაფარული, ხოლო სადაც ირწყვება, ნოყიერი³⁹ საძოვრებია და ალაგ-ალაგ ლაქაშითაა დაფარული. იქ მრავლადაა გარეული ფრინველი და ცხოველი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე /2v/ ტფილისის მახლობლად რუსებმა ააგეს ხის 20 წისქვილი, რომელიც განსაკუთრებულად გამოსადეგია ქალაქისათვის, მაგრამ ძველი ქვის წისქვილები მდინარეებზე – ვერესა და კოჯორზე – ზამთარში ყინვისგან, ხოლო ზაფხულში კი გვალვისაგან უმოქმედონი ხდებიან.

ტფილისის აღწერილობა

ტფილისი გარეუბნებით სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ხეობებით;

³³ ტექსტში მითითებულია – Колас.

³⁴ ტექსტში გამყოფი ნიშნის გარეშე მითითებული – Самцхиси Карталиниу.

³⁵ ტექსტში მითითებულია – Герет.

³⁶ ტექსტში მითითებულია – глубка

³⁷ ტექსტში მითითებულია – Колисა.

³⁸ ტექსტში მითითებულია – Горет.

³⁹ ტექსტში მითითებულია – Тучьяня.

აღმოსავლეთიდან – ლოჭინით, რომელსაც დღეს უწოდებენ ომანისხევს⁴⁰, ჩრდილოეთიდან – ხევძმარის ხევით⁴¹ მტკვრამდე, დასავლეთიდან კი – კრწანისის, შინდისის, წავკისის და წყნეთის⁴² მთებით⁴³, ხოლო ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მთა, რომელიც საბურთალოს მინდვრის მიღმა მდებარეობს.

ტფილისი უწინ სამი ქალაქისაგან შედგებოდა, კერძოდ, ტფილისი, კალა და ისანი⁴⁴. ისანი მდინარე მტკვრის მარცხნა ნაპირზე იყო გაშენებული. იგი ისანს გამოყოფდა ტფილისისა და კალასაგან. დასავლეთით მდებარე წავკისისა და კოჯრის მთებიდან გამომდინარე წყაროები, რომლებიც შემდეგ სამხრეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ჩაედინებიან მტკვარში, ყოფენ ტფილისა და კალას. იმ ადგილას, სადაც ძველი ტფილისი იყო გაშენებული, /3r/ დღეს სეიდაბადის ბაღებია⁴⁵. ისანი დღეს ავლაბრად

⁴⁰ ლოჭინი – მდინარე გარდამნის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხნა შენაკადი. მდინარე ლოჭინს ვახუშტი ბატონიშვილიც ომანისხევად მოიხსენიებს: „... ლოჭინამდე, რომელსა ეწოდების ომანის-ჭევი“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 333).

⁴¹ ტექსტში მოთითებულია – ხევკვარი. ეს მდინარე ამჟამად მოქაეულია კოლექტორში, რომელიც გლდანის ტბასთან იღებს სათავეს, გადის ხევძმარის ქუჩის ქვეშ და უერთდება მტკვარს.

⁴² ტექსტში მოთითებულია – ცხნეთის.

⁴³ ავტორის მიერ მოცემული განსაზღვრებები უზუსტოა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქი ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე გაშენებული არ ყოფილი. ავტორი აღნიშნულ საზღვრებში, სავარაუდოდ, გულისხმობს როგორც საკუთრივ თბილისს და მის გარეუბნების, ასევე, ადმინისტრაციულად მასზე მიწერილ მთლიან ფართობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შაგუბატოვის მითითებული საზღვრები ემთხვევა ვახუშტის მიერ აღწერილ მეოთხე სადროშის საზღვრებს (იხ.: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 333).

⁴⁴ ტექსტში მოთითებულია – იჩნი. ასევე უწოდებს ვახუშტიც: „ხოლო ტფლისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 333).

⁴⁵ ვახუშტი „სეიდაბადს“ ასე განმარტავს: „აქ თაბორის, ყოფილა ციხე. არამედ აწ შემუსრივილის არს. აქ დასხნა შასეფი (ირანის შაპა სეფი I 1629-1642 წწ. – ავტ.) სეიდი, მის გამო სპარსეთი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფილან ეკლესიანი დიდშენი, არამედ აწ შემუსრივილი არაია“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 334); არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (შაგუბატოვის მიხედვით) „სადაც ძევლი ტფილისი იყო გაშენებული, დღეს სეიდაბადის ბაღებია“), დღვენანდელი აბანოებიდან 300 არაგველის ობელისკამდე, დიდი სამრეწველო უბანი უნდა ყოფილიყო განლაგებული. ამ ადგილას ქალაქის ერთ-ერთი მთავარი დასახლებაცაა ნავარაუდები, რაც აღნიშნული ცნობებითაც დასტურდება. ქალაქის ეს ნაწილი, სავარაუდოდ, XIII საუკუნის I ხახევარში განადგურდა და დიდი ხნის მანძილზე აღარ აღდგენილა (იხ.: მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის საწარმო შეა საუკუნეების თბილისში IX-XIII სს. თბ. 1979, გვ. 21; ჯ. სამუშაი. თბილისის მოსახლეობა და ტერიტორია XVIII საუკუნეში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის მრომები. VII, გვ. 185-93).

იწოდება, კალას კი ტფილისს ეძახიან. ტფილისი გარეუბნებით: ავლაბარი და გარეთუბანი⁴⁶, საძოვრების გარეშე, შეადგენს 175000 კვადრატულ საუენს⁴⁷. ტფილისში მრავლადაა სამხრეთით მდებარე მთებიდან გამომდინარე ცხელი და თბილი მინერალური წყლები. აქ გაშენებული ქვის აბანოებიდან მოსახლეობას მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვს. ქალაქის სამხრეთ ნაწილში კლდოვან მთაზე დგას ციხე-სიმაგრე⁴⁸, საიდანაც მტკვრის ნაპირამდე დაშვებულ დამრეც დარტაფზე ამფითეატრის მსგავსადაა გაშენებული ქალაქი. ციხის შიგნით ქვით ნაგები კელესია და მეჭის სასახლეა, რომელიც ხანდაზმულობის გამო ნაწილობრივ დანგრეულა⁴⁹, არც ციხეა უკეთეს მდგომარეობაში – ვერც ძველი დიდება შეინარჩუნა და ვერც პირვანდელი დანიშნულება – მის თავზე ძებარე მთები თავდაცვისუნარიანობას ამცირებენ. ალყაშემორტყმულთა წყლით მომარაგებისათვის მტკვრამდე გაყვანილია მიწისქვეშა გვირაბები, რომელთაგან ერთი ავლაბრის ხიდის⁵⁰ ქვეშ ჩადის მტკვრამდე, მეორე კი ციხის დასავლეთით მდებარე წყაროებამდე მიდის. ქალაქი ტფილისი ციხიდან მოყოლებული სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით გარშემორტყმულია ძველი ქვის კედლებით, აღმოსავლეთის მხარე კი მტკვარს ებჯინება⁵¹.

/3v/ დღესდღეობით, როგორც ქალაქის, ისე ციხის კედლები იშლება

⁴⁶ ტექსტში მითითებულია – Горетубани.

⁴⁷ ≈80 ჰექტარს.

⁴⁸ იგულისხმება ნარიყალა.

⁴⁹ ვახუშტიც იხსენიებს ხარიყალას ციხეში არსებულ ეკლესის და სასახლეს, რომელსაც თავისი პირვანდელი ფუნქცია გაცილებით ადრე დაუკარგავს: „...კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა... მაღალს ციხეში არს კელესია გუმბათიანი წმიდის ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პატარნი დიდ-დიდნი და შუენიერნი. არამედ დაუტევა... მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ჭიდის ყურამდე და მისცა სპარსთა...“ (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 334).

⁵⁰ ავლაბრის ხიდი მდ. მტკვარზე უძველესი დროიდან არსებობდა და ისანს კალასთან აკავშირებდა. დიდი ხნის მანძილზე ხიდს ხის მასალით აშენებდნენ, რაც აადვილებდა მტრის შემოსევის დროს მის დაშლას და შემდეგ თავიდან აშენებას. ხის ხიდი ერთმალიანი იყო და ნაპირზე ამოყვანილ მაღალ მძლავრ ბურჯებს ეყრდნობოდა. 1795 წელს, აღა-მაკმად ხანის შემოსევის დროს, დანგრეული ხიდი მაღვევე აღადგინეს, მაგრამ 1805 წელს ადიდებულმა მტკვარმა წაითო. 1805 წელსვე ააგეს ახალი ხიდი, რომელიც 1826 წელს ხისავე თაღოვანი ხიდით შეცვალეს. ლითონის ხიდი 1870 წელს ააგეს. 1805 წლიდან დიდი ხიდის მახლობლად მოქმედებდა უფრო პატარა ხის ხიდიც, რომელიც შედარებით არასამეობ იყო და, მართადად, ფეხით მოსიარულები იყენებდნენ. დიდ ხიდს ავლაბრის, ხოლო პატარა ხიდს მეტეხის ხიდს უწოდებდნენ (თბილისის ენციკლოპედია. თბ. 2002, გვ. 665).

⁵¹ შაგუბატოვის მიხედვით, მდ. მტკვარი თბილისის (ანუ კალასა და საკუთრივ თბილისის) აღმოსავლეთით მიედინება. ვახუშტი კი აღნიშნავს: „... კალას უდის ჩრდილოო-აღმოსავლით, ტფილის – ჩრდილოთ...“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 333-334). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაგუბატოვის განმარტებები ამ მხრივ არ გამოირჩევა სიზუსტით.

და ჩამოშლილ ქვებს სხვა სახაზინო მშენებლობებზე იყენებენ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია მეტების ციხე-სიმაგრე. უწინ ლამაზი და ძლიერი ციხე ყოფილა, რომელიც დაუნგრევიათ. ამჟამად მის სანაცვლოდ აგებულია ახალი, საკმაოდ ლამაზი ციხე-სიმაგრე⁵². მის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ფრიალო ნაპირზე, რამდენიმე ბუნებრივი ძღვიმეა. მათგან ერთ-ერთში განსაკუთრებულ დღებში სალოცავად დადიან. ალყის შემთხვევაში ამ ციხესაც ჰქონდა მტკვრამდე მიმავალი მიწისქვეშა გასას-ვლელი წყლის მოსამარაგებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ სიონად წოდებული ქართული ეკლესია, მაღალი სამრეკლოს მქონე სომეხთა მონასტერი ვანქი⁵³ და მოღ-ნინის⁵⁴ სახელზე აგებული შესანიშნავი სომხური ეკლესია. აქვეა სომეხთა

⁵² მეტების ციხე შეა საუკუნეებში თბილისის ერთ-ერთი მთავარი ციტადელი იყო. ციხეს ეკვროდა სავაჭრო-სახელოსნო რიგბი, უფრო ჩრდილოეთი კი – დასახლება ავლაბარი. ციხე XVII საუკუნეში მეფე როსტომის განუახლება. 1748 წელს, სპარსელთა გარნიზონის განდევნის შემდევ, ერეკლე II-მ დაიკავა და მორდევული გაღავანი აღდგინა. 1795 წლის აღა-მაჭად ხანის შემოსევის დროს დაზიანდა. ალექსი ერმოლოვის მთავარმართებლობის (1816-1827 წწ.) დროს მეტების შევლი ციხესიმაგრე დაანგრიეს და მის ადგილის აიგო ფაზარმული ციხის კორპუსები. რუსეთის ხელისუფლებამ ციხე საპყრობილებ აქცია, ხოლო მეტების ღვთისმშობლის ეკლესიას სატუსაღოს შიდა ეკლესის ფუნქცია მიენიჭა. მეტების ციხის კორპუსები საბოლოოდ XX საუკუნის 50-იან წლებში აიღეს (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 663-665).

როგორც აღწერილობდან ჩანს, 1819 წლისათვის ახალი საპყრობილე უკავ აგებული ყოფილა. სატუსაღოს აგების შემდგომ მეტების ღვთისმშობლის ეკლესიას ძევლი დიდება იმდენად დაუკარგავს, რომ ავტორი არც კი მოიხსენიებს მნიშვნელოვან ეკლესიებს შორის. საყურადღებია ის ფაქტიც, რომ იოსებ შაგუბატოვი მნიშვნელოვან ეკლესიებს შორის არც ანისხატს მოიხსენიებს.

⁵³ ვანქი, ფაშავანქი – სომხური ეკლესია გარეთუბანში, ღვთისმშობლის სახელობისა. მდებარეობდა ავანაანთხევის (სალალაკისწყალი) და მტკვრის შესაყარზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მუხრანის (ახლანდელი ნიკოლოზ ბარათაშვილის) ხიდის მახლობლად. ძველ თბილისში ცნობილი იყო „ფაშავანქის“ (ფაშას მონასტერი) სახელით. დ. კარიჭაშვილის ცნობით, ვანქის მონასტერში „... მჯდომარებს ეჯმიაწინით წარმოელებილი ეპისკოპოსი, ანუ არხიეპისკოპოსი“. თარიღდება XIV-XVI საუკუნეებით. ეკლესია XVIII საუკუნეში რამდენჯერმე განახლდა და გადაკეთდა. XX საუკუნის 30-იან წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილის (ყოფილი მუხრანის) ქართველ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით დაანგრიეს. ამჟამად შემორჩენილია XIX საუკუნის სამრეკლო. ეკლესიასთან არსებობდა სასაფლაო. ეპლესის მიმდებარე ტერიტორიას ვანქის უბანი იწოდებოდა (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 463-464).

⁵⁴ ტექსტში – მანინი.

მოღნინი – სომხური ეკლესია, ღვთისმშობლის სახელობისა. მდებარეობს ლალო გუდიაშვილის მოედნის სამხრეთი, ლალო ასათიანის ქართველი მხარეს. ეკლესიის აგების სხვადასხვა თარიღს ასახელებენ. ჩვენამდე მოღწეული ეკლესია აგებულია 1751 წელს. ამჟამად დაზიანებულია. მის გვერდით მდებარეობს „მცირემოღნინი“, მოღნინის წმინდა გორგის ეკლესია (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 690).

დედათა მონასტერი, კათოლიკეთა ქვის ეკლესია⁵⁵, არც თუ დიდი, მაგრამ საკმაოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი მეჩეთი. ქალაქთან ახლომდებარე მთაზე დგას 2000 წლის წინ ნაგები და დღესაც კარგ მდგომარეობაში მყოფი წარმართული გუმბათიანი სამღლოცველო⁵⁶. ამათ გარდა, ქალაქში კიდევ 44 სახაზინო და კერძო შემოწირულობებით აგებული ეკლესია და 3700 სახლია, რომელთაგან უმეტესობა დარიბი და ულამაზოა, ხოლო მათი ფანჯრები ქალაქზე არ გადის.

/4r/ ზოგიერთ სახლს აქვს მიმდებარე ბალი, კოჯრისა და წავკისის მთებიდან გამოყვანილი სარწყავით. ძველი ქუჩები უმეტესწილად ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულია⁵⁷, მაგრამ ამჟამად, შეძლებისდაგვარად, მიმდინარეობს მათი გაფართოება და კეთილმოწყობა. მოქალაქეთა ყველა სახლი ქვისაა, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილია ნაგები კირით. დანარჩენი აშენებულია თიხით. გარედან და შიგნიდან გაჯირ არის შელესილი⁵⁸. ძველ შენობებს არ გააჩნიათ ისეთი ლამაზი და სწორი ფორმები, როგორც ახლად აშენებულებს. სასტუმროები და სავაჭრო დახლები ადრინდელთან შედარებით საკმაოდ გამართული და მოკაზმულია. ტფილისის გარეუბნებში: ავლაბარში, გარეთუბანსა და სეიდაბადში მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრიბს დაბალ, დარიბ ქოხმახებში, გარეთუბანში კი უფრო სანახევროდ მიწაში ჩაღრმავებული სახლები ჭარბობს. ავლაბარში სახაზინო ნაგებობათაგან გამოირჩევა ლამაზად და მდიდრულად გაშენებული ყაზარმები, ხოლო ტუბანის მთაზე თავმომწონედ წამოჭიმულა მთავარსარდლის⁵⁹ სასახლე⁶⁰.

⁵⁵ აღნიშნულ ეკლესიას ვახუშტიც იხსენიებს: „კალას არს რომაელთა ეკლესია ერთი და მონოზონი“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 337).

⁵⁶ სავარაუდოდ, იგულისხმება ცეცხლის თავვანისმცემელთა ტაძარი – ათეშგა (სპარსულად ათეშგაჲი; ათეშ – ცეცხლი, გაჲ – ადგილი), სადაც მუდმივად ენთო ცეცხლი. აქ ცეცხლის დასანთხბად იყენებდნენ მხოლოდ ხეხილის შეშას, რომელიც წვის დროს სასიამოვნო სურნელს გამოსცემდა. დაახლოებით IV-VII საუკუნეებში აგებული ათეშგა დგას სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, კლდისუბანში, ამჟამინდელ გომის ქუჩაზე. თბილისის ათეშგა გეგმით სწორკუთხა და ნახევარსფერული გუმბათით გადახურული ნაგებობაა, ნაშენია კვადრატული ფორმის აგურით. შემორჩენილია აღმოსავლეთის ნაწილი (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 276).

⁵⁷ ოპან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1771-1772 წლებში, აღნიშნავს: „... მთავარი ქუჩები ოდნავ განიერია საუკნზე, უმეტესობა კი უფრო ვიწროა“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართლი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაუთო გ. გელაშვილმა. ტ. II, გვ. 133).

ამ ცნობის მიხედვთ მთავარი ქუჩების სიგანე დაახლოებით 2, 5 მეტრი ჭოფილა, უმეტესობა კი მათზე ვიწრო.

⁵⁸ ანალოგიურ სურათს იძლევა ვახუშტიც: „სახლი ნაშენი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338).

⁵⁹ იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი.

⁶⁰ ტოპონიმი „ტუბანი“ სხვა არც ერთ წყაროში არ გვხვდება, თუმცა მთავარსარდლის,

მის მახლობლად დიდი სახაზინო ბაღია გაშენებული, რომელსაც უწინ ქვემოთ ჰქონდა აუზი. ამჟამად, უფრო ხელსაყრელ ადგილას, მისგან ზემოთ მოაწყვეს ძღიდრული აუზი, რომელიც წყალს იღებს იშიტუტუქი-სა⁶¹ და სოლოლაკის მთებიდან. აუზს აქვს ულამაზესი შადრევანი და ორი გალერეა, რომლებიც კიდევ უფრო აღამაზებენ ამ ადგილს.

ბაღში გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის ხილის ხეები, /4v/ ვენაზი და ყვავილები. აქ ზაფხულობით სეირნობენ წარჩინებულები, უკრავს მუსიკა.

ამ სახლის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე თავისი არქიტექტურით გამოირჩევა არსენალი და სამხედრო ჰოსპიტალი⁶². თუმცა ეს უკანასკნელი დაბლობში მდებარეობის გამო კარგავს თავის სიდიადეს, ამიტომაც, მის ნაცვლად ავლაბრის ქვემოთ ააგეს ახალი შენობა. განსაკუთრებით გამოირჩევა გრანიტის ლამაზი შენობა – სახაზინო სახლი, რომელიც იტევს ტიპოგრაფიას, სამუსიკო გუნდს და მრავალ მოხელეს. ტიპოგრაფიაში იბეჭდება რუსულ და ქართულ სამოქალაქო ენებზე⁶³. ამ შენობების მახლობლად არაერთი სახაზინო დაწესებულების შენობაა განთავსებული. აქვეა სხვადასხვა ენაზე მოქმედი საქალაქო სასწავლებელი. ამის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლადაა მდიდრული არქიტექტურით ახლად აგებული კერძო სახლი.

თავად ქალაქში საერო შენობებიდან გამორჩეულია გუბერნატორის სახლი⁶⁴, საფოსტო კანტორა და საქალაქო პოლიცია, ასევე, სხვადასხვა

ანუ მთავარმართებლის სასახლის ადგილმდებარეობა ჩვენთვის ცნობილია: ეს არის ამჟამინდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე. სასახლის ადგილად შეარჩის ქალაქის კედლების გარეთ მიმდებარე უბანი („გარეთუბინი“ მახლობლად), სადაც მანაძე მეფეთა ბადები და ვენაზები ყოფილა გაშენებული. აქედან იწყებოდა „რუსეთის გზა“ და, ბუნებრივია, რუსულმა ადმინისტრაციამ ეს უბანი შეარჩია. 1802 წელს ამ ადგილას ქართველ ოსტატებს აუგიათ მთავარმართებლის სასახლე, რომელიც 1807 წელს ახალი ნაგებობით შეუცვლიათ. XIX საუკუნის 20-იან წლებში მის ნაცვლად კლასიციზმის სტილში ახალი სასახლე აიგო, რომელიც 1844 წლიდან მეფისნაცვლის სასახლედ იწოდებოდა. იმავე საუკუნის 60-იან წლებში სასახლეს კალაპ განუცდია ძირებული რეკონსტრუქცია. 1918-1921 წლებში სასახლეში საქართველოს მთავრობამ დაიდო ბინა (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 689).

როგორც ჩანს, XIX საუკუნის 10-იან წლებში სასახლის გარშემო ახალი დასახლება გაჩერილა, სადაც, ძირითადად, ადმინისტრაციული შენობები განთავსდა. ამ პერიოდიდან დაიწყო სოლოლაკში ბაღების გაჩერება, რომელთა ადგილი დაიკავა თბილის მაღალი ფენის წარმომადგენელთა სახლებმა.

⁶¹ დღევანდელი მოაწმინდა.

⁶² არსენალის შენობა მდებარეობდა მთავარმართებლის სასახლის მახლობლად, ახლანდელი პარლამენტის შენობის ზედა ტერასაზე (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 302, 673). სამხედრო ჰოსპიტალიც მის სიახლოეს უნდა ყოფილიყო.

⁶³ იგულისხმება არა საეკლესიო, არამედ საერო შრიფტები.

⁶⁴ გუბერნატორის სასახლე როსტომ მეფის სასახლის ნაგრევების ადგილას 1809 წელს აიგო. მეფის სასახლის განადგურებამდე მიმდებარე ტერიტორიას ბატონის მოედანი ეწო-

დაწესებულებათა სახლი, რომელიც დიდია, მაგრამ ულამაზო. ამ სახლ-თან ახლოს არის ქვის შენობა, რომელიც ადრე მეფის აბანო იყო, დღეს კი იქ განთავსებულია ზარაფხანა, /5r/ ხოლო ზარაფხანის ადრინდელი შენობა სიძველის გამო მიტოვებულია. ზარების სახელობის კათოლიკური ეკლესიის ბრწყინვალე გუმბათი დაჭცულია, თავად შენობა კი, ისვე როგორც თურქული მეჩეთი, მაღაზიად არის გადაკეთებული⁶⁵. ციხის ქვე-მოთ, ქალაქის აბანოს კართან, უწინ საბაჟო იყო სპარსეთიდან მომავალი საქონლისათვის; ამჟამად ეს საბაჟო აბანოს კარიდან მოშორებით, ლამაზ ადგილას გააშენეს. ქალაქის გარშემო განთავსებულია სამი კარანტინი⁶⁶: გარეთუბნის, ორთაჭალის⁶⁷ და ავლაბრის. ქალაქში სამი მშვენიერი მოედა-ნია, განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ახალი. ქალაქს გარეუბ-ნებთან – ავლაბართან, გარეთუბანთან და სეიდაბადთან – აკავშირებს ხის უმნიშვნელო ხიდები. პირველის ნაცვლად⁶⁸ და მის მაღლა აიგო ახალი, ლამაზი და საჭირო ხიდი. ავლაბრის ხიდის აღმოსავლეთით წმიდა აბოს საძვალეა. თავად ქალაქში არაერთი სასწავლებელია, რომლებიც ქართულ და სპარსულ ენებზე ფუნქციონირებენ; ქალაქს მიღმა, ვანქის სომხურ მონასტერთან ახლოს, დიდ და მდიდრულ შენობაში განთავსებულია სომხ-ური და სხვა ენებზე მოქმედი სასწავლებელი ტიპოგრაფიითურთ. ქა-ლაქის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით მდებარე ბაღები მტკვრის წყლით, მთებიდან მომდინარე სხვა მდინარეებითა და რუებით ირწყვება. განსაკუთრებით ბევრია ვენახი. ხეხილის ჯიშებიდან გამოირჩევა /5v/ უნაბი. მუხედავად იმისა, რომ ქალაქის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე მინდვრები ურწყავია, მაინც იძლევა ხორბლისა და ქერის საკ-მაოდ კარგ მოსავალს. აღმოსავლეთით, ლილოს მთის მახლობლად, არის მარილიანი ტბა, რომელიც ზაფხულში შრება. ხოლო მტკვრის მარცხნივ, ნავთლულის ველზე, მტკვრის მახლობლად მოიპოვებენ მცირე რაოდენო-ბით ნავთს⁶⁹.

დებოდა, გუბერნატორის სასახლის აგების შემდეგ XIX საუკუნის მიწურულამდე კი – გუბერნატორის მოედანი (ამჟამინდელი ერეკლე II-ის მოედანი) (თბილისის ენციკლოპე-დია, გვ. 399).

⁶⁵ აღნიშნული მწეთი დიდი ხნის დანგრეული ყოფილა. ვახუშტი აღნიშნავს: „ურუმთ (ოსმალებს) ქრისტესა ჩდგზ (1727 წ.) ადაშენეს სამი (მეტეთი), არამედ შემუსრა შანადირ (ნადირ შაჰი – 1735-1747 წწ.)“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამფონია საქართველოსა, გვ. 336).

⁶⁶ კარანტინი (ფრ. ორმოცი) – ადგილი, სადაც გარკვეული დროის (40 დღე) განმავ-ლობაში აჩერებდნენ უცხო ქვეყნებიდან შემთხულ საქონელს, პირუტყვს და ადამიანებს ინფექციურ დაავადებებზე კონტროლის დასრულებამდე. ამ ხნის განმავლობაში მათ ეკრძალებოდათ ადგილობრივებთან კონტაქტი.

⁶⁷ ტექსტში - Аргачальский.

⁶⁸ იგულისხმება ავლაბრის ხიდი.

⁶⁹ მცირე რაოდენობით ნავთის მოპოვების შესახებ ვახუშტიც წერს: „ხოლო ტფილისის

ქალაქის დასავლეთ მხარეს არის მცირე მონასტერი მთაწმინდა, რომელიც აგებულია იშიტუტრუქის მთის ციცაბო ფერდობებზე⁷⁰. მდინარე ვერეზე, რუსეთისკენ მიმავალ დიდ გზაზე გადებულია საკმაოდ გამძლე და ძველი ქვის ხიდი. ტფილისში კლიმატი გაზაფხულზე და შემოდგომაზე სამოა, ზამთარი ზომიერი, ხოლო ზაფხული ცხელი, მაგრამ ჯანმრთელია⁷¹. ტფილისი იყოფა 5 ნაწილად, რომლისგანაც 3 თავად ქალაქის ფარგლებშია, მეოთხე ავლაბარია, მეხუთე კი გარეოუბანი⁷². მოსახლეობა 18624 სულს შეადგენს, საიდნაც 9637 მამაკაცია, 8987 კი – ქალი. ამათგან ქართველია – 1531 კაცი და 1535 ქალი, კაოლიკე 97 კაცი და 95 ქალი, მაპმადიანი 147 კაცი და 148 ქალი, დანარჩენები სომხები არიან⁷³.

/6r/

ვაჭრობის შესახებ

საქართველოში ვაჭრობა უმეტესწილად სომეხთა ხელშია, რომლებიც ვაჭრობენ რუსეთთან, თურქეთთან, სპარსეთთან და სახანოებთან⁷⁴, ასევე, ლეკებთან და სხვა მთიელ ხალხებთან.

მთავარი საქონელი გადის რუსეთში, განსაკუთრებით თხელი და სქე-

სამწრა-აღმოსავლით არს ნაგოლუხი. მუნ დის ნაგოთი კიდევსა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338).

⁷⁰ შედრ.: ვახუშტი: „... დასავლეთით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთაწმინდისა, აწ ცალიერი“ (იხ.: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338).

⁷¹ შედრ.: ვახუშტი: „... ზაფხულ ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშეუწინ და სატრფო“ (იხ.: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338).

⁷² ვახუშტის მიხედვით, ობილისი ოთხ ნაწილად იყოფა: „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას-ტფილისასა, ტფილის-სეიდაბადს და ისნს-ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338). ესა არის შეა საუკუნეების ობილისის დაყოფის ტრადიციული სქემა. ოსქებ შაგუატოვი კი ქალაქს 5 ნაწილად ყოფს. როგორც ჩანს, ასეთ უბანად აგტორი მთავარსარდლის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას (სოლოლაქს) მიიჩნევს, სადაც ახლად აგებული სახაზინო (არსენალი, სამსედრო ჰოსპიტალი და სხვ.) და კერძო შენობები იყო განთავსებული.

⁷³ შედრ.: ვახუშტი: „მსახლობელი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსენი მოპმადიანნი, ხოლო ციხესა გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველი, ქცევა-ზნით ქართულითა“ (იხ.: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 338).

⁷⁴ იგულისხმება სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე განჯის, ერევნის, ნახიჭევნის, ყარაბაღის, შაქის, ბაქოს და სხვა სახანოები.

ლი ტილო, სხვადასხვა სახის ბეწვეული: თეორეტიკინი მელიის, წავის⁷⁵, ფოცხვერის, მგლის; ასევე – თახვის და კვერნის ტყავი, ასევე, მუშკი⁷⁶; სხვადასხვა სახის შალეული, მარგალიტი, ზოგჯერ ძვირფასი ქვებიც კი; ენდროთი შეღებილი და შეუღებავი დაურთავი ბამბა⁷⁷, ასევე, სხვადასხვა სახის ბამბეულის ქსოვილი და სხვა.

რუსეთიდან შემოაქვთ

ჭიათურა⁷⁸, ლილა, მაუდი, ოქროსა და ვერცხლის ფარჩეული, ოქროსა და ვერცხლის ძაფი, მათგან ნაქარგი სირმა, ეპოლეტები, შარფები და სხვა ამგვარი; ხავერდი⁷⁹, ატლასი, თაფთა, გრანეტური⁸⁰, კოლენკორი, მიტკალი, ჩიობი და ნახევარჩიობი, სხვადასხვა ფერის სტამედები⁸¹, კა-მლოტები⁸², სხვადასხვა სახის ნაქსოვი ტილო. აუცილებელი საქონლიდან შემოჰქონდათ ციფვის ზურგისა და მუცლის ტყავები. სხვადასხვა ფერის ტარსიკონი, ტყავეული, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის ნაკეთობები, მინის ჭურჭელი, თუნუქი და ყვითელი თითბრისებრი სპილენძი, კალა, ნიშანდური, შაქარი, ჩაი, ყავა და სხვადასხვა საკვები პროდუქტი და სა-სმელი.

/6v/

თურქეთში იგზავნება

თხელი და სქელი აბრეშუმი, კვერნისა და თეორეტიკინი მელიის ბეწვი, ფოცხვერის ტყავი, ტფილისში გამოყვანილი კამეჩის ტყავი, ასევე, თხის ბეწვი, ცხვრის მატყლი, ჯაგარი, ენდრო, შაბი და გაჰყავთ საკმაოდ

⁷⁵ ტექსტში – Порешня – წავისებრთა ოჯახის წარმომადგენელი.

⁷⁶ Бобровая струя (Бобровый мускус) – огюვე კასტორეუმი, მუშკი – თახვის შინაგანი ჯირკვალი, რომელიც გამოჰყოფს არომატიზირებულ ნივთიერებას. იგი გამოიყენებოდა პარფიუმერიასა და მდიდარი ასასიათებს ანტისპაზმური, დამაშვიდებელი მოქმედება.

⁷⁷ ტექსტში – Бумага пряденная.

⁷⁸ Канцелярное семя – ქართულად ითარგმნება როგორც ჭიათურა – მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე; აქვს ჭურჭის მტევნის მსგავსად შეკრებილი ნაყოფი (საღებავად და მელნის დასამზადებლად იხმარება) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. VIII. თბ. 1964, გვ 1252).

⁷⁹ ტექსტში – Бархат объяр и полу-объяр.

⁸⁰ ტექსტში – Гранетур. ერთგვარი აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი.

⁸¹ ერთგვარი ფერადი ქსოვილი ტანსაცმლის მოსართავად.

⁸² მატყლის მკვრივი ქსოვილი, ზოგჯერ აბრეშუმის ან ბამბის ნარევით.

დიდი ოდენობის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. იქიდან შემოაქვთ სხვადასხვა სახის ძვირფასი ქვები, მარგალიტი, ხავერდი, ატლასი, კოლენკორი, სხვადასხვა ხარისხის ჩითი, ფერადი თავსაფრები, რომელსაც ქალები იყენებენ, ფოლადი, ცხენისა და ჯორის ნალები, სხვადასხვა სახის სუამოები, საჭმელ-სასმელი.

სპარსეთთან ვაჭრობა ხორციელდება ოქროს⁸³, ვერცხლის, სპილენძის ფულით, ნაკეთობებით, ქსოვილებით, ჭიათურათი, ტფილისელი ქალების ვერცხლისა და ოქროს ნაქარგობებით⁸⁴, ბალიშისპირის ფოჩებით (ქართულად ეწოდება ღორისპირი), ჩულებით და ხალიჩებით – სუზანით, რომელსაც ქალები იყენებდნენ აბანოში დასაფენად; გააქვთ, ასევე, აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილი, რომელიც რუსეთიდან შემოაქვთ, ვერცხლის ძაფები, ლეკებისა და სხვა მთიელი ხალხების მიერ დამზადებული სქელი ნაჭრები, ნაბდები, ბამბეული, შაბი, ცვილი, ერბო⁸⁵, თაფლი, ხიზილალა და სხვა⁸⁶.

სპარსეთიდან შემოაქვთ

მარგალიტი, ძვირფასი ქვები, ცისფერი საღებავი, /7г/ ორი სახეობის შალი, ასევე, სარტყელებისათვის აბრეშუმის ოქრონაქარგი ქსოვილები: ღობა-ღარაი-ბაბი, ატლას ბაბი და აბრეშუმის ქსოვილები: დარაია, შეიძიში, მოვი, თაფთა, ატლასი, ხათაია და სხვა. სხვადასხვა ბამბეული ქსოვილი, რუსეთიდან დიდი ოდენობით მოწოდებული ბამბეული. სხვადასხვა წვრილმანი საქონელი, ხილი, თეთრყელიანი მელისა და კვერნის ბეწვეული, ქეჩის სახელწოდებით ცნობილი აქლემის ბეწვის სხვადასხვა ხარისხისა და სიღიძის ხალიჩები.

⁸³ ტექსტში – Чертвонцами.

⁸⁴ ქართული ოქრონემსური (ოქროქსოვილი) და ვერცხლნემსური (ვეცხლქსოვილი) ნაკეთობა, რუსი მოხელეების ცნობით, ირანსა და ოსმალეთში დიდი რაოდენობით გაპქონდათ და ის აზიაში საუკეთესო ნაკეთობად ითვლებოდა. მისი ფასი ძალიან მაღალი ყოფილა – 50-400 მანეთის ფარგლებში (იხ.: პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეპონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 118).

⁸⁵ ტექსტში – масло – ერბო, კარაქი, ზეთი.

⁸⁶ იმსებ შაგუბატოვი ოსმალეთსა და ირანში გასატან საქონელს შორის არ ასახელებს ენდროს, რაც გაკვირვებას იწვევს – ამ პერიოდში ენდროს ექსპორტის მაჩვენებელი შთამბეჭდავად გამოიყერება. პ. გუგუშვილის გამოთვლით, ყოველწლიურად ირანსა და ოსმალეთში საქართველოდან 10 000 ბათმანი, ანუ 66-70 ათასი მანეთის ენდრო გადიოდა (იხ.: პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეპონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 118).

სახანოთა ქალაქებში გააქვთ

ოქრო და ვერცხლი დიდი ოდენობით. ჭიათურა, რუსეთიდან შემოსული სხვადასხვა სახის საქონელი, ოქროსა და ვერცხლის ძაფები, ტილო, სელის ძაფი, კალა, ნიშადური, ფოლადი, სხვადასხვა სახის რკინა, წითელი სპილენძი და რუსული 5 კაპიკიანი მონეტა, შაქარი, რომი, საწერი ქაღალდი, რუსული კაჟი და დიდი ოდენობით ცხენებს ერეკებიან.

სახანოთა ქალაქებიდან შემოაქვთ

აბრეშუმი და აბრეშუმის ქსოვილები: მოვი, შეიდიში, დარაია, ჩარგატი, ჯეჯიმი, შარავარი, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ნართი; ბეწვეული: წავის, თეთრყელიანი კვერნის, მელის, აზიური ტურის, ფოცხვერის, სამანდური კატის, თახვის ტყავი და მუშკი, მგლის და დათვის ბეწვეული; ფუბაჩური ნაჭრები და მათგან შეკერილი ხიფთანები, ნაქსოვი ხალიჩები; ლეკური სხვადასხვა სახის შაბი, რკინა; გამოყვანილი და შებოლილი თევზი, ზურგიელი, ხიზილალა, თევზის წებო⁸⁷ და ბუშტი /7v/ დოლებისათვის, ბრინჯი⁸⁸ და წვრილფეხა საქონელი.

შინაგანი ვაჭრობა იმერეთთან და სხვა მხარეებთან იმერეთში გააქვთ

აბრეშუმისა და ბამბეულის სხვადასხვაგვარი საქონელი, ბამბა, მატყლი, რკინა, შაბი, ცისფერი საღებავი, ჭიათურა, ენდრო, მარილი, ფეხსაცმლის ლანჩი, სხვადასხვა ფერის თხის ტყავი, რომლისაგან კერავენ ჩექმებს, მაღალყელიან ფეხსაცმელს და სხვა; ცხენის მოსართავი, ლარი⁸⁹, ბრინჯი, ხახვი, შაქარი, ჩაი, გამოყვანილი და შებოლილი სხვადასხვა ხარისხის ზურგიელი, ხიზილალა და სხვა.

⁸⁷ თევზის წებო – სხვადასხვა სახეობის მსხვილი თევზის ბუშტისგან გამოიღება. არის უსუნო, უფერო, მაღალი ხარისხის. გამოიყენებოდა ძვირფასი ნივთების შესაწებებლად, ჟელატინის ნაცვლად ალკოჰოლის წარმოებაში და მაღალი ხარისხის კანფეტების დასამზადებლად.

⁸⁸ ტექსტში – Сорочинское пшено ბრინჯის აღმნიშვნელად რუსეთში ეს სიტყვა გამოიყენებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე.

⁸⁹ ტექსტში – Ларии?!

შემოაქვთ

თეთრყელიანი მელიის, კვერნის, იშვიათად შავი მელიის, წავის, თახვის ბეწვი და მუსკუსი; ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ნართი, სხვადასხვა ფერის გირი და თხლად ნაქსოვი სხვადასხვა ფერის თაფთა, რომელსაც ამზადებენ კანაფისაგან; ცვილი და სანოელი, ცუდი ხარისხის სპილენძი, ცხვრის ტყავი, სქელი და იშვიათი ტილო, სელის სქელი ძაფი, გამოყვანილი და შებოლლი ზურგიელი, ხილიდან მხოლოდ წაბლი შემოდიოდა, რითაც მდიდარია იქაური ტყეები.

მთიანი მხარიდან⁹⁰ შემოჰქონდათ საქმაოდ კარგი ხარისხის ბეწვეული.

გორისა და ანანურის მაზრებში წარმოებული პროდუქციიდან გამორჩეულია: /8r/ ბიაზი, ჩითი⁹¹, სირმა და კამეჩის ტყავი, სპილენძი, ცვილი, მატყლი, უბრალო ქსოვილები; ასევე – მამაკაცის შეკერილი პერანგები, დიდი ოდენობით ერბო და ყველი, პურის ფქვილი, ქერი და განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი ბოსტნეული, ბალახეულისაგან წნული ჭილობი, კალაქვა, ნახშირი, მტკვარზე აცურებენ ხე-ტყეს, ხოლო ტივებით ეზიდებიან კირქვას.

ძირითადი ბაზრობები იმართება თელავსა და სიღნაღში, აქ იყიდება წვრილფეხა საქონელი, განსაკუთრებით ბევრია ღორი, ასევე, შემოაქვთ ტყავის გამოსაყვანად აუცილებელი მასალები.

ჭარელ ლეკებოთან ვაჭრობენ დიდი ოდენობით ოქროთი და ვერცხლით, სხვადასხვა ხარისხის ბამბის ქსოვილით.

იქიდან კი შემოაქვთ თხელი და სქელი აბრეშუმი.

თბილისელი სოვდაგრების ვაჭრობა

იმათ, ვინც მანუფაქტურული ნაკეთობებით ვაჭრობენ ბაზაზებს ეძახიან. ისინი შეისყიდიან ერევნიდან შემოტანილი ბამბეულის ნაწილს, რომლისთვისაც თანხას იხდიან დათქმულ ვადებში, მთლიანად, ან ნაწილ-ნაწილ⁹². ამ ყველაფერს ცვლიან თხელ ნართზე წილით ერთი ორზე, /8v/ საშუალო სისქისა იცვლება წონის 13/4-ზე, ხოლო სქელ ნართში ერთნახევარჯერ მეტს იღებენ. ამგარად გადაცვლილ ნართს აძლევენ ფეიქრებს ალაჯის (ჭრელი ნანგას სახეობა)⁹³ და ქალებისათვის უბრალო

⁹⁰ ტექსტში – Гории. ავტორი შესაძლებელია გულისხმობდეს იმერეთის მთიან მხარეებს.

⁹¹ ტექსტში – Выбойка – ერთფერად დაჩითული სახეებიანი ბამბეული ქსოვილი.

⁹² გულისხმობს „ნისიად“ ვაჭრობას.

⁹³ ტექსტში – Нанка – უხეში, მგვრივი, მოყვითალო-მორუხისფრო ბამბის იაფფასიანი ქსოვილი, ხატაური (რუსულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II. თბ. 1958, გვ. 43).

საჭირო ფართე ჩადრების დასამზადებლად; ასევე – სხვადასხვა ხარისხის ბიაზის დასამზადებლად, რისგანაც მჩითავები მაგიდის გადასაფარებლებს, საფარებლებს, ჩითს და თავსაფრებს ამზადებენ, რომელებსაც მთიელები და სოფლის მცხოვრებლები ყიდულობენ. ასევე, ქალებისთვის თავსაფრებსა და პირსახოცებს ამზადებენ; სქელი ბიაზისაგან კი უბრალო ხალხი მოკლე ხიფთანებს იკერავს.

აბრეშუმით მოვაჭრეებს ყაზაზებს ეძახიან

მამაკაცის ხიფთანების შემოსაკერად, ასევე, რთავენ ოქროსა და ვერცხლის სირმებს და აბრეშუმის თასმებს. რთავენ და ღებავენ აბრეშუმებს, რომელსაც საკმაოდ დიდი ოდენობით ყიდულობენ თაგაურელები და ოსები. აბრეშუმი დიდი ოდენობით იხარჯება ტფილისში, სადაც თითქმის ყველა ქალი სხვადასხვა ქსოვილზე ქარგავს ოქროთი და ვერცხლით.

მეწვრილმანები

ვაჭრობენ: ჭიაფერათი, ცისფერი და ლაუგარდოვანი საღებავით⁹⁴, მელნის კაკლებით⁹⁵, წითელი და შავი სანდალის საღებავით, შაბით, ილით, ზაფრანით, დარიჩინით, ციტრომონით⁹⁶, მუსკატის კაკლით, ყვითელი ყვავილით, ძირათი, /9r/ პილპილით, საკმეველით, კორპით, საბრით, ვერცხლისწყლით, ტყვიით, კალით, ნიშადურით, ფოლადით, საწერი ქაღალდით, ბანქოთი, ჯიბის მაკრატლებით და მაგიდის დანებით; სასანთლებით, თუნუქის ფურცლით, თითბირით, ჩაის სერვიზით, ქაშანურისა და მინის ჭურჭლით, სარგებით, ინით, რომლითაც წითლად ღებავენ, ბასმაღით, რომლითაც თმას იღებავენ შავად, შაქრით, არაბული და ბაღდადური ჩირით, ყურძნით, სხვადასხვა ნუშით, ფისტათი, კანფეტებით, ქიშმიშით და სხვადასხვა ნუგბარით, რომელთა სახელების რუსულად თარგმნა მიჰქირს.

ცვილისა და ქონის (ლორის) სანთლებით ვაჭრობს სპეციალური ფენა. მეხამლებს გამოჰყავთ ბეწვეული, კერავენ საზამთრო სამოსს ორივე სქე-

⁹⁴ ტესტში – ლაზო.

⁹⁵ ტესტში – Чернышные орешки – მექაკლური პარაზიტი, ვითარდება მუხის ზოგირო ჯიშზე. შეიცავს გალოტანის.

⁹⁶ ტესტში – Цитромон.

სის მცხოვრებლებისათვის, უბრალო ხალხისათვისაც იგერება ქურქები.

ტფილისში ბევრს აქვს სამკერვალო. ზოგიერთი მხოლოდ შეკვეთაზე მუშაობს, სხვები უბრალო ხალხისათვის კერავენ ქალისა და კაცის ტანსაცმელს – ჩოხებს, შარვლებს, შაროვარებს, ახალუხებს.

ყაჯარდუზი

ყაჯარდუზები, სპეციალური ოსტატები, ხავერდისაგან, ოქროსა და ვერცხლით მოქარგული აბრეშუმისაგან ან, სპარსული შალის მსგავსად, მოქარგული მატყლის ნაჭრისაგან ამზადებენ ჩულებსა და ჯეჯიმებს, /9v/ რომელთაც მდიდარი ადამიანები იყენებენ ზაფხულობით.

მექუდეები

მდაბიო ხალხისათვის ქუდებს კერავენ უბრალო ყირიმული ცხვრის შავი და რუხი ტყავისაგან, მდიდრებისათვის, ასევე, ცხვრისაგან კერავენ ქურქებს და მოკლე ქურქებს მცირე ზომის სახელოებით, ღარიბებისათვის კი უსახელოს.

ვინც ქალის წინდების ნაცვლად ტარსიკონის წულებს კერავს, მეწუღა⁹⁷ ეწოდება.

ცხენის აღვირის გარდა, ამზადებენ თოქალოოს, ჩულებს და ტყავისა-გან დამზადებულ მოსართავს თოფებისთვის.

ხარაზები და მეჩექმეები

გასაყიდად კერავენ თხის ტყავისაგან და კემუხტისაგან (სილის მეშვეობით დაკნეილი მწვანედ ან წითლად შეღებილი ცხენის ან ჯორის ტყავი); თეთრი, შავი, წითელი, მწვანე და ყვითელი ფერის მაღალ და დაბალქუსლიან ჩექმებს, რომლებსაც მხოლოდ მამაკაცები იცვამენ და ჰქონია საცვეთები და მამაკაცებისათვის და ქალისათვის, ასევე, თხის გადმობრუნებული ტყავის /10r/ მაშიებს – ფეხსაცმელს, რომელსაც ზოგჯერ ამზადებენ მოქარგული ქსოვილისაგან, ხავერდისა და აბრეშუმის ქსოვილებისგან. უბრალო ხალხს ღორის ტყავის თასმებისაგან შეკერილი

⁹⁷ ტექსტში – ცუგი, მეცუგე.

ფეხსაცმელი — ქალამანი — აცვიათ. ოსტატებს მექალამნები ეწოდებათ.

კუპრავები ხარისა და კამეჩის ტყავისაგან ტიკებს ამზადებენ, რომელსაც ბეწვი შიგნით აქვს მოქცეული, მას ნავთით ან ფისით პოხავენ. ასეთ ტიკ-ში 30-დან 100 თუნგამდე ღვინო და არაყი ეტევა, ყოველი თუნგი იტევს 9 გირვანქა სიოხეს⁹⁸. ტიკებს ამზადებენ ცხვრის ტყავისაგანაც, იგი 1-დან 25 თუნგამდე ღვინოს იტევს.

მაზმანები რთავენ თხის ბეწვს და მისგან ქსოვენ ნაჭერს ტომრებისათვის, თოკს გრეხენ ურმებსა და ორთვლიან ეტლებში ხარების შესაბმელად.

ამზადებენ სხვადასხვა სახის ზანდუკებს და გარედან აკრავენ ტყავს, რთავენ აბრეშუმის ან ბამბის თასმებით.

მეუნაგირები

ხისგან ამზადებენ უნაგირებს და ზედ აკრავენ აქლემის, კამეჩის, ხარისა და ძროხის ტყავს, მხოლოდ ამ ტყავისაგან ბეწვია აფხევილი, უნაგირის თავებს ალამაზებენ ძვლისაგან და სადაფისაგან დამზადებული სხვადასხვა ფიგურებით.

/10v/

ფალანდუზი

ცხენებისათვის, ჯორებისათვის და ვირებისათვის აკეთებენ პალანებს, რომლებიც საპალნედ გამოდვება, უნაგირის მაგიერია, რომელთაგან ორ ცხენს ან ჯორს შემოახვევენ სქელ ნაჭერს ან ქეჩას, ვირებისათვის კი ზემოდან ტყავს აკრავენ, ქვემოდან ქეჩას, შუაში კი უგბენ თივას.

ფეიქრები

ბამბის ნართისაგან ამზადებენ ქსოვილებს უბრალო ქალების ჩადრისთვის და პირსახოცებისათვის, რომელსაც ქალები აბანოში ტანის შესამშრალებლად იყენებენ. ამას გარდა, დიდი ოდენობით ამზადებენ სხვადასხვა სახის ალაჯას და ბიაზს.

⁹⁸ 110-დან 370 ლიტრამდე.

მჩითავები

ვაჭრებისათვის ბიაზს ჩითავენ გადასაფარებლებისათვის, ფარდებისათვის, პატარა თავსაფრებისათვის, სხვადასხვა კარგი და ცუდი ხარისხის ქსოვილისათვის.

ქეჩის ოსტატები

მატყლისაგან თელავენ სხვადასხვა ფერის სახეებიან თექას სპარსულის მსგავსად, თუმცა ისეთი კარგი ხარისხის არ არის, ასევე, ამზადებენ /11r/ საქონელზე და ღარიბი ადამიანების საწოლზე გადასაფარებელ უბრალო თექას, ამას გარდა შეკვეთით პენტავენ ბამბას.

მებარგულებს გადააქვთ შეკვეთილი საქონელი.

მესაათეთა სამუშაო მხოლოდ საათების შეკვეთით შემოიფარგლება. მღებავები და მხატვრები არც თუ დიდი ოსტატობით გამოირჩევიან.

ოქრომჭედლები და ზარგარები

სუფთა ოქროსაგან ამზადებენ ბრტყელ და მრგვალ ძეწკვებს ქალებისათვის, რომლითაც იმშვენებენ მკერდს წელამდე; ბეჭდებს მარგალიტის და სხვა ძვირფასი ქვებისაგან, მათგანვე აკეთებენ ჯვრებს, რომელთაც ქალები ღიად ატარებენ ყელზე შებძულს. სხვა საგალანტერიო ნივთებს ქალები თმის მოსართავად მოიხმარენ: შუბლზე მრგვალი ბალოის მსგავსად დაკიდულ ზოგჯერ ძვირფასი ქვებისაგან შემკულ ტიტას; ოქროსაგან და ძვირფასი ქვებისაგან დამზადებულ ჯიღას, ანუ სულთანას მსგავსს; ქართველი და სომეხი ქალები ატარებენ საყურებებს და სხვა სამკაულებს. იგივე ოსტატები ამზადებენ ხატებისათვის ლითონის ჩარჩოებს, სასადილო ჭურჭელს და სხვა. ხოლო ზარგარები განსაკუთრებით ისეთი ვერცხლის ძვირფასი ჭურჭლის გაწყობით არიან დაკავებულნი, როგორიცაა აზარფეშა, ის წვნიანის გადასაღებ სწორტანიან კოვზს გვაგონებს, კულა (დოქის ნაირგვარობა მოგრეხილი წვრილი ყელით), მათლაფები და სხვა მისთანანი. სპილენძის ოსტატები ასხამენ სასანთლებებს, /11v/ ქარქაშებისათვის დეტალებს და სხვა.

ტფილისში დიდი ოსტატობით ამზადებენ ხმლებს და ხანჯლებს. ერთ-ერთმა ხელოსახმა იმპერატორისაგან საიმპერატორო მეიარალის წოდება,

ჯილდოდ ასი ოქროს თუმნიანი და ოქროს მედალი მიიღო⁹⁹; ამზადებენ საკმაოდ კარგ თოფებსა და პისტოლეტებს. მჭედელთა ნაკეთობებიდან ცნობილია თოფის ჩახმახები, ხელსაწყოები წისქვილებისათვის და დურგლებისათვის და სხვა. არაერთი ოსტატი ამზადებს სპილენძის ქვაბებს, თუნგებს, დოქებს და სახლისათვის გამოსადეგ სხვა ჭურჭელს, რომელთაც შიგნიდანაც და გარედანაც კალავენ. თოფის ჩასადებების მოპირკეთება ხდება სადაფით, იგივე ოსტატები ამზადებენ ფანდურებს¹⁰⁰, დოლებს, ჭადრაკს და სხვა წვრილმანებს.

ვაჭრებს, რომლებიც ყიდიან ფქვილს, ქერს, სამარხვო საკვებს, კაკალს, ხილსა და ბოსტნეულს, უწოდებენ პროსოლებს, ანუ ალაფებს. ისინი ყველაფერ ამას ყიდულობენ ბითუმად და დიდი მოგებით ყიდიან ცალობით. ამგვარად ვაჭრობენ ბაყლები; თუმცა ყველაზე მეტად ნესვითა და საზამთროთ ვაჭრობენ, მათ იციან მთელი ზამთრით, ახალი მოსავლის შემოსვლამდე შენახვა. ტფილისელები ვაჭრობენ დიდი ოდენობით ნედლი და მოხარული თევზით, დოლისათვის თევზის ბუშტით და წებოთი. ხორცის დამზადებითაც ბევრია დაკავებული /12r/ და რადგანაც ხორცით ვაჭრობენ მარხვაშიც, მათ საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვთ. კლავენ კამებს, ძროხას, ხარს, ცხვარს, თხას და ღორს. ღარიბები სახლის გასანათებლად იყენებენ ღორის ქონს. ჯაგარი კი დიდი ოდენობით გააქვთ კონსტანტინოპოლში.

ტფილისში განსაკუთრებული მზარულები, ანუ მარკიტანტები¹⁰¹ არიან, რომლებიც საგანგებო ცივი წვნიანით ვაჭრობენ. წვნიანი ბარდის, პარკოსნების, სუნელებისა და ნიგვზისაგან მზადდება. ამზადებენ ფლავს, სხვადასხვა შეჭამადს, დაბეგვილ შემწვარ ხორცს და სხვა. მათ უწოდებენ ქაბიბჩის, მრავლად არიან მეპურები, რომლებიც საკმაოდ გემრიელ პურს, ფუნთუშასა და ორცხობილას აცხობენ. ბევრი მიკიტანი ვაჭრობს არყოთ, ღვინით, ბურახით; ამ საქმით სირაჯებიც არიან დაკავებულნი. თუთუნჩები ჰყიდიან სხვადასხვა ხარისხის თუთუნს და ნაძვის კარგი ხარისხის

⁹⁹ ძელ თბილისში ფოლადის დამზადების საუკეთესო ოსტატები იყვნენ. ქართული ბულატი (მაღალი ხარისხის ფოლადი) თბილისში მზადდებოდა. ხმლების ჭედვის საიდუმლო მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ოსტატ ელიზარაშვილებს. XIX საუკუნის დასაწყიში ბოლიციის ზეწოლით ყარამან ელიზარაშვილი იძულებული გამხდარა რუსეთის მთავრობისათვის ქართული ბულატის დამზადების საიდუმლო გადაეცა. ხმალ-სატევარის დამზადების შესასწავლად თბილისში რუსეთიდან ქალაქ ზღატოუსტის ქარხნის ოსტატები გამოგზავნეს. ქართველი ოსტატს კი ჯილდო გადასცეს (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 821-822; კ. ჩოლოფაშვილი. ბულატის თბილისელი ოსტატები. მეცნიერება და ტექნიკა. თბ. 1965. № 6).

იოსებ შავუბატოვი სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავს.

¹⁰⁰ ტექსტში – Балалайка.

¹⁰¹ ავტორი მიკიტანს უნდა გულისხმობდეს.

მუნდშტუკებს და ჩიბუხებს, რომელთაგანაც ყველაზე მეტად ბლის ხისა ფასობს. დალაქები პარსავენ წვერსა და თმას, სისხლს უშვებენ ლანცეტი-თაც, ყანწითაც და წურბელებითაც, ისინი იღებენ კბილებსაც.

ტფილისში ნალბანდებიც საკმაოდ არიან დაოსტატებულნი თავის საქმეში.

დურგლები და მხერხავები დიდი ოსტატობით გამოირჩევიან, /12v/ განსაკუთრებით დაღარული ფანჯრების დამზადებაში, რომლებსაც შუშის სიძვირის გამო ჯერ კიდევ გამოიყენებენ სახლებში. დურგალთა ნაკეთობანი გამძლეობით გამოირჩევიან, გამორჩეულია მათი ხელსაწყოებიც: ხერხი და ნაჯახი, რომელიც ჰგავს ვიწრო სეკირას.

ქვისმოლელებიც დიდი ოსტატობით აკეთებენ თაღებს, რომლებიც ძირითადად მზადდება ოვალურად და ზემოთა მხრიდან მკვეთრი კუთხით გამოირჩევა.

მანუფაქტურული ნაწარმიდან გამოირჩევა აბრეშუმისაგან დამზადებული მოვი, რომლითაც კერავენ პერანგებს და ახალუხებს, სხვადასხვა ფერის დარაიას და სხვა.

ქარხნები: ტყავის

ტყავის, სხვადასხვა ფერის სადაფისა და ლანჩის გამოყვანაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს დარგი დაუხვეწავია. მეხამლები ირმის ტყავისაგან ამზადებენ ცხენის მოსართავებს, ქარქაშებს. ცხენის ტყავისაგან ამზადებენ მწვანე კემუხტას ქალების ქოშებისათვის.

მწარმოებელი მოსახლეობის ერთ დიდ ნაწილს შეადგენენ მღებავები. ძირითადად, სხვადასხვა ბამბეულის ქსოვილებს, ასევე, ლეკურ ქსოვილებს წითლად, ცისფრად და ყვითლად ღებავენ. მატყლს შავ ფერად, ხოლო საგანგებო ხელოსნები ბიაზს თეორად ღებავენ. მეთუნეობაც საკმაოდ განვითარებულია. /13r/ აღნიშვნის ღირსია მოჭიქვისა და ჭურჭლის ფორმათა ნაირგვარობა. სიდიდის მიხედვით განსაკუთრებით გამოირჩევა ქვევრები, რომლებშიც ეტევა 700 თუნგზე მეტი¹⁰². მშენებლობისას სიმკვრივით გამორჩეულია სქელი და თხელი გამომწვარი აგური. საპნის სახარშები არ არის სათანადო დონის, საპონი სულაც არ არის სუფთა. ქვემეხებისა და ზარების ჩამოსასხმელი, მინისა და დენთის საამქროები ამჟამად განადგურებულია.

¹⁰² 700 თუნგი ≈2500 ლიტრი.

ბაზრობის აღწერა

კეთილშობილი გვარიშვილები იმერეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან, ასევე, აღალარები ყაზახიდან, შამშადილუსა და ბორჩალოს დისტანციებიდან ტფილისელი ვაჭრებისაგან და მედუქნებისაგან ყიდულობენ მრავალი სახის შემოტანილ საქონელს, რომელსაც იყენებს ორივე სქესი სამოსად, სარტყელად და სხვა. ერევნის მახლობლად მცხოვრები ბამბაკის დისტანციის აღალარები ყველაფერს ერევანში ყიდულობენ.

ქართლისა¹⁰³ და ანანურის მაზრის მამაკაცები ტფილისში ჩამოტანილი გასაყიდი საქონლის ნაცვლად ფულს ცოტას იღებენ, უფრო მეტად მიაქვთ საქონელი: ლეკური ნაბდები, ხარები და სხვა, რაც მათ მაზრებში ან საერთოდ არ არის, ან ძალიან ცუდია.

/13v/ ქიშიყელი და კახელი გლეხები კი ჩამოტანილი ღვინის სანაცვლოდ ბევრ ფულს იღებენ. ამასთან, მსხვილფეხა საქონელის – ხარების – გარდა, იმავე საქონელს ყიდულობენ, რომელსაც ქართლელები.

ტფილისის მაზრის და მოურავებისაგან მართული სხვა მხარეების მოსახლეობა იმდენად ფულზე არ ვაჭრობს, რამდენადაც პროდუქციას ცვლის ბამბეულზე, ზოგჯერ მცირე ოდენობის აბრეშუმის ნაწარმსაც იღებენ, მიჰყავთ ბევრი ცხენი, მიაქვთ ცხენის აღგაზმულობა, ორივე სქესისათვის ფეხსაცმელი და სხვა მისთანანი. ბამბაკის დისტანციის მაცხოვრებლებს ტფილისში ჩამოაქვთ ნის ზეთი¹⁰⁴, ჰყიდიან მას ფულზე და სამაგიეროდ ყიდულობენ ლეკურ ნაბდებს, ტანსაცმელს, ასევე – არაესა და ღვინოს.

ლეკებს ტფილისში ჩამოაქვთ მატყლის კარგი შავი ნაბდები, რომელსაც მოსახამისათვის და შარვლებისათვის იყენებენ დარიბები; თექა და თხის მატყლის ტომრები, ასევე, ცვილი, გოგირდი და სხვადასხვა სახის იარაღი. ამათგან ბოლო სამი ნაღდ ფულზე იყიდება; ხოლო სხვა ყველაფერს მოვაჭრების ბამბეულზე უცვლიან. ამოღებული თანხით ყიდულობენ სპილენძის ჭურჭელს, როგორიცაა ღოქები, ქვაბები და სხვა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ის ვაჭრები, რომლებიც ლეკებთან ბამბეულით ვაჭრობენ, ორმაგ მოგებას ნახულობენ: 1) საქონლიდან, რომელსაც ნაბდების სანაცვლოდ იძლევიან და 2) ნაბდებიდან, მათი დიდი მოგებით გაყიდვის შედეგად.

/14r/ ჩერქეზებსა და ოსებს ჩამოაქვთ საკმაოდ კარგი ხარისხის შალის ქსოვილი, ზოგჯერ მოაქვთ ამისაგან შეკერილი ნიფთანები და შარვლები, სხვადასხვა ფერის კრაველი, რომელსაც ადგილობრივები ქუდებად ხმარობენ, ქეჩა და თეთრი ქეჩის ხალიჩები¹⁰⁵ და ცვილი. ისინი ვაჭრობენ ლეკების მსგავსად. ზოგიერთი მათგანი ცხენებსაც მოერეკება და დიდმალ

¹⁰³ იგულისხმება გორის მაზრა.

¹⁰⁴ ტექსტში – Деревянной масло – იგულისხმება დაბალი ხარისხის ზეთი.

¹⁰⁵ ტექსტში – Кошма.

მსხვილფეხა საქონელსაც, მათ ნაღდ ფულზე ყიდიან. ამ ფულით კი ყიდულობენ ბამბეულს, მცირე ოდენობით აბრეშუმის ნაწარმს და სპილენძის ჭურჭელს. ამავე საგნების საყიდლად მოდიან ტფილისში მთიულები¹⁰⁶, ფშაველები და ხევსურები. ზოგიერთ მათგანს ჩამოაქვს ლობით ლიტრა¹⁰⁷ 20-ად, ქათმები და მამლები – 10-ად¹⁰⁸ და სხვა წვრილმანი. ყველაფერ ამას ცვლიან მარილსა და ბამბეულის ნაწარმზე. ტფილისისკენ მათ, სავარაუდოდ, 4 დღის გზა მაინც აქვთ გასავლელი. მათი ტანსაცმელი და სხვა აღკაზმულობა ცხენზე ან ჯორზეა აკიდებული. ერთი სიტყვით, მათ მიერ ჩამოტანილი საგნები ვერცხლით 10 მანეობისა ძლივს იქნება. გლეხებს ჩამოაქვთ ტყეში შეგროვილი 1-2 საპალნე წაბლი, სელის ძაფი, საკმაოდ სქელი ტილო. ყოველივეს ჰყიდიან ფულზე, სამაგიეროდ ყიდულობენ ბამბეულის ქსოვილს, გამოყვანილ თევზს, წელას¹⁰⁹, ხიზილალას და მარილს. იმერლების აღკაზმულობის ღირებულებაც კი 10 მანეოს ბევრად არ აღემატება. ამ წვრილმანი და უმნიშვნელო ვაჭრობისათვისაც კი დიდი სიამოვნებით მიდიან ტფილისში. თუმცა უფრო მეტი თანხისაოვის გაცილებით ნაკლებ მანძილზე არ გაგყვებიან გასაცილებლად. მათ მოგების სურვილი იმდენად არ იზიდავს, /14v/ რამდენადაც ცნობისმოყვარეობა. ამ ადამიანების უბრალოება და გულუბრყვილობა არის ტფილისელთა შემოსავლის ძირითადი წყარო, ისინი მათთან ვაჭრობენ მოტყუებით; მთავრობის ჩარევით ეს ბოროტება აღმოფხვრილია: მთიელთა მიერ ჩამოტანილი საქონლის – ერბოს, ყველის, ბოსტნეულის – გადაცვლა ხდება მარილზე – 1 ლიტრა მარილი 1 ლიტრა ერბოზე შეთანხმების შესაბამისად.

მშობიარობის შესახებ

როდესაც მოდის მშობიარობის დრო, ატყობინებები ახლობლებს. მშობიარობის დაწყების წინ ყველა ქალი სანთლებით განათებული ღვთისმშობლის ხატის წინ მხურვალედ ლოცულობს. მშობიარობისას ქალს აწვენენ თივაზე, მაცხოვრის ბაგაში შობის სასწაულის ნიშნად. ხუცესი აკურთხებს სახლს, კითხულობს სახარებას, აპკურებს აიაზმას და მას შემდეგ, რაც მშობიარეს თავთით სახარებას დაუდებს, გარეთ გადის. რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახის უფროსი ეპატიუება არა მარტო მშობიარობისას იქ მყოფ ქალებს, არამედ სხვა ნაცნობებსაც, რომლებიც ასაჩუქრებენ ბებია ქალს. მთელ ღამეს ლხენასა და მღერა-თამაშში ატარებენ, უკრავენ დოლზე,

¹⁰⁶ ტექსტში – Теулетинцы.

¹⁰⁷ 1 ლიტრა ≈ 3.6 კგ.

¹⁰⁸ ავტორი უნდა გულისხმობდეს 20 და 10 კაპიგს – ქართულ აბაზს და ორ შაურს.

¹⁰⁹ Вязига, визига – ზუონისებრი თევზის ნაწლავი. გამოიყენება კულინარიაში.

ფანდურზე და სხვა ეროვნულ ინსტრუმენტებზე. პირველ ასეთ დღეობას ეძახიან ძეობას, ზოგიერთი ქალი მეორე დღემდე რჩება. ახლად მოლოგინებული, ჩვეულებისამებრ, საწოლში რჩება 20 დღემდე. თვალი უცვლიან მხოლოდ ერთხელ, მშობიარობიდან მეოთხე დღეს. მიმდინარე 20 დღის განმავლობაში ავადმყოფთან ყოველდამე მორიგეობს ახლო ნაოესავი ქალი.

/15r/ გამოჯანმრთელების მეორე, ანუ მშობიარობიდან 22-ე დღეს, ახლად მოლოგინებული მიდის აბანოში, მხოლოდ ამის შემდეგ მიდის ქმარი მასთან. ახლადშობილი პირველი ოთხი დღის განმავლობაში დაკრულია ფიცარზე, მხოლოდ ამის შემდეგ აწვენენ მას აკვანში. ძიძები მას უმღერიან საამო ნანას. ბორჩალოელი, ყაზახელი და შამშადილოელი მომთაბარები, ქრისტიანები თუ მაჰმადიანები ყველაზე რთული გადასვლისასაც კი გახვეულ ჩვილს ზურგზე მიმაგრებული დაატარებენ. 1795 წელს აღა¹¹⁰-მაჰმად-ხანის მიერ ტფილისის დარბევისას აქაური ქალები გაქცევისას მშობიარობდნენ იოლად და ყველგან დაატარებდნენ ჩვილებს ყოველგვარი დაზიანების გარეშე.

ნათლობის შესახებ

შუადღის ლოცვისას ეკლესიის კარამდე მიჰყავთ ჩვილი, სადაც მას მიიბარებს მომავალი ნათლია. მღვდელი სრული აღკაზმულობით გამოდის და ნათლიას თავის გვერდით დაიყენებს, სამპირად დაგრეხს წითელი ბაბის ძაფს წმ. სამების აღსანიშნად, თან კითხულობს სათანადო ლოცვას. ამის შემდეგ ნათლია ნათლულითურთ მობრუნდება დასავლეთის მხარეს და სამჯერ უარყოფს ეშმაკს; შემდეგ კითხულობს მრწამსს. ლოცვის წაკითხვის შემდეგ მღვდელს ნათლია და ნათლული ხელში ანთებული სანთლებით მიჰყავს ემბაზამდე. ამის შემდეგ მამაო კვლავ კითხულობს ლოცვებს, სადაც ლოცვას ახალშობილს და აკურთხებს წყალს /15v/ ჯვრის გარდასახვით და სახარებით, ამავე დროს ემბაზში აწვეობს წმ. მირონის რამდენიმე წვეთს. ამის შემდეგ, ქრისტეს სამდღიანი გარდაცვალების აღსანიშნად, სამჯერ განბანს ჩვილს ემბაზში, შეახვევს სახვევებში და ახლადნათლდებულს გადასცემს ნათლიას. ნათლულობის სახვევებს ნათლია საჩუქრად უძღვნის მღვდელს; ნათლობის შემდეგ ჩვილს ყელზე შეაბამს სამფად დაწნულ ძაფს, რომლის ბოლოზედაც ცვილის ჯვარია, შემდეგ აზიარებს და გადააწვდის ნათლიას. ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ მიდიან ახლადმონათლულის სახლში, იმავდროულად მათ აცილებს მღვდელი სანთლებით, ზარების რეკვით და წმ. იოანე ნათლისმცემლის

¹¹⁰ ტექსტში – Agaco.

სადიდებლის საგალობლით. სახლში ელიან ნათლიას, ყველა ნათესავი მდიდრულადაა გამოწყობილი. ნათლია ჩვილს გადასცემს დედას, თან სამჯერ იმეორებს: მიიბარეთ ოქვენი შვილი ნათლობით ჩემგან შეთვისებული; შემდეგ დედა შვილს გადასცემს მოსამსახურეს, თვითონ კი თანადამსწრებთან ერთად მიესალმება ნათლიას და შეიპატიუებს. მუსიკის თანხლებით ახალგაზრდა გოგონათა ცეკვის შემდეგ მოზრდილები – ქალებიც და კაცებიც – სხვადასხვა ოთახში გადიან და ცალ-ცალკე ლაპინობენ. ამასთან, სტუმრად იწვევენ მხოლოდ მამისა და ნათლიის ახლობლებს. სადილი ხშირად პირველი საათიდან საღამომდე გრძელდება. ამის შემდეგ ყოველ დღესასწაულზე, როგორიცაა აღდგომა ან ახალი წელი, ნათლიას გაფრთხილების გარეშე უგზავნიან ვერცხლის ან სხვა ნივთებს გაწეული ხარჯისათვის. ამ ჩვევას ყველა როდი ასრულებს.

/16r/

ნიშნობის შესახებ

ქალიშვილის ნათესავები ირჩევენ საქმროს, ისე, რომ სარძლო შეიძლება არც იცნობდეს მას, ისინი თანხმდებიან მზითვზე, ან კმაყოფილ-დებიან იმით, რასაც მშობლები დათქვამენ; პირველივე ჯერზე სასიძო სარძლოსთან აგზავნის თავის მოძღვარს ნიშნობის ბეჭდით ან სხვა რამე ნივთით და თან აუცილებლად მიაყოლებს შაქარს; სადედოფლო მდიდრულად გამოწყობილი ხვდება მღვდელს, რომელიც მას ლოცავს, მის წინ დებს საჩუქრებს, ფულსაც, რისოვისაც საპატარძლოსაგან იღებს ორჯერ მეტს. ფულადი საჩუქრის ფასი 5-6 თუმანს არ აღემატება, ზოგჯერ სულაც არაფერია; საჩუქრების მიღების შემდეგ სადედოფლო წარმოდგება, თავს დაუკრავს და მოძღვარს ხელზე ემთხვევა, მისი ნათესავები ინაწილებენ შაქარს და იშლებიან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიიპატიუებენ სასიძოს თავისთან სახლში, სადაც იგი მიდის უახლოესი ნათესავების თანხლებით. სასიძომრო სასიძოს საკუთარი ხელით მიართმევს შარბათს¹¹¹ და საკუთარი ხელით დაალევინებს, სასიძო მას ხელზე კოცნის, ის კი ლოყაზე. შემდეგ სასიძო თავისი სტუმრებით სუფრის ერთ მხარეს იგავებს. სუფრაზე არის ტკბილული – მურაბები, ხილი და შაქარი. მოძღვარი კითხულობს სახარებას და ლოცავს ახლადდანიშნულებს. ყველა იქ მყოფი იღებს თითო კვნიტ შაქარს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. შემოაქვთ ყავა, შემდეგ ჩაი და ჩამოატარებენ ხილს, ყველაფერს ამას აყოლებენ /16v/ ტკბილ არაყს. მთელი ამ ხნის განმავლობაში სასიძო ჩუ-

¹¹¹ ტექსტში – შაქრიანი წყალი.

მადაა, შეუძლია მიირთვას ყავა ან ჩაი, სხვას ვერაფერს მიეკარება. ამგვარ პირველ შეხვედრამდე სასიძოს არა აქვს უფლება მივიდეს სასიძომროს სახლში, თუ გზაზე სადმე შემთხვევით გადაეყარა, მოერიდება, ხოლო ამ პაემანის შემდეგ მას შეუძლია საცოლეს სახლში მივიდეს, მაგრამ მას მაინც ვერ ნახავს.

ქორწინების შესახებ

როდესაც დაინიშნება ქორწილის დღე, სასიძო აირჩევს მეჯვარეს და დანიშნავს თავის სახლში ლხინს, სადაც ქალის¹¹² მხრიდან მცირე ოდენობის ხალხია დაპატიჟებული. მეჯვარეს ასეთ ლხინისას შეუძლია უხმოს თავის მეგობრებს. ვახშმობამდე სასიძოს მშობლები საპატარძლოს ხონჩაზე დადებულ საფარებელში გადახვეულ ფარჩის მოსახამს¹¹³, ფეხსაცმელს ან მაშიას, თავსაბურავს, ვერცხლის გვირგვინს, ასევე, სხვა სამკაულებს (ხელისა და ფეხისათვის) და ორ თავ შაქარს უგზავნიან.

ამ ჩვეულებას ჰქონია ალავი. მას თან ახლავს მუსიკის დაკვრა, რომელსაც ასრულებს სასიძოს რამდენიმე ახალგაზრდა ნათესავი. სასიძოს სტუმრებს მაყრიონს ეძახიან. სადედოფლოს სახლში მოძღვარი ლოცავს ალავს და მაყარიც ბრუნდება სასიძოს სახლში. იმავდროულად ხდება მზითვის გატანებაც. სასიძოს სახლში მთელი დამე ლხინობენ, თან ახლავს მამაკაცთა ცეკვა, თუმცა ქალებიც განსაკუთრებულ წრეს ქმნიან. შეაღამისას სასიძო მეჯვარითა და სტუმრებითურთ მიდის ეკლესიაში, სადაც მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი პირბადებამოფარებული სადედოფლოც მიჰყავთ. /17r/ მოძღვარი აზიარებს და შეაუღლებს ახალგაზრდებს. შემდეგ იმოსება და იწყებს ლოცვას და წითელი ბამბის ძაფის დაწვნას ორი პირის შეერთების საწინდრად. ამ რიტუალის დამთავრების შემდეგ იღებს ჯვარს და სასიძოსა და საპატარძლოს ეკითხება შეუღლებაზე თანხმობას, შემდეგ იღებს საპატარძლოს ხელს და ჩააბარებს სასიძოს, ასევე ერთმანეთზე მიადებინებს თავებს და გარდასახავს ჯვარს, მეორე ხელში კი უჭირავს ვერცხლის ჯამი ღვინით. ამ ჯამიდან ახლად-შეუღლებულნი სვამენ ნახევარ-ნახევარს.

ქორწინების საიდუმლოს შესრულების შემდეგ მოძღვარი ახლად-შეუღლებულებს ხსნის ჯვარს და გალობის თანხლებით ადგამს გვირგვინებს. ამასთან, ორივეს ყელზე შეაბამს წინასწარ მომზადებულ წნულებს და ჯვრის მსგავსი მარყუჟით შეკრავს ცვილის სანთლით.

¹¹² ტექსტში – სიმამრის.

¹¹³ ტექსტში – შუბა.

აქედან მოყოლებული სამი დღის განმავლობაში ისინი ცოლქმრული ცხოვრებით ვერ იცხოვრებენ.

ჯვრისწერის შემდეგ მგალობლებისა და მუსიკოსების თანხლებით სა-სიძოს სახლისკენ მიემართებიან. სახლში შესვლისას მეჯვარე დირეზე გა-დადებს ხმალს, რომელის ქვეშაც უნდა გაიარონ შეუდღებულებმა. სასიძოს სახლში გამზადებულია მდიდრულად გაწყობილი დივანი და უახლოესი ნაოესავები ახალგაზრდებს ხვდებიან ხვევნა-კოცნით და თითოეულს ასინ-ჯებებს შაქარს. პატარძალი ყველას მდაბლად უკრავს თავს და მეუღლის გვერდით ჯდება საგანგებოდ მომზადებულ ფიცარნაგზე. ამის შემდეგ უკვე ქალები (ახალგაზრდებიც და ხანშიშესულებიც) ცეკვავენ. შემდეგ ქალები გადაან საგანგებო ოთახში, ხოლო მამაკაცები მსუბუქი /17v/ წახეშსების შემდეგ იშლებიან.

მალევე სიძის ახლობლებისათვის მოაქვთ საჩუქრები: შალეული და სხვა ნივთები. ხოლო დედოფლისათვის ბეჭედი და ან სხვა რამ ხონჩაზე დადებული ხილთან და ტკბილ არაყოთან ერთად. ასევე, მოაქვთ ამჟავე-ბული რძე, რომელსაც სიძე მაშინვე მიარომევს მეუღლეს და თხოვს მისი ხელიდან სამი კოვზი მიირთვას. შემდგომი ორი საღამოს განმავლობაში აქ მყოფი სტუმრები კვლავ იკრიბებიან განსაკუთრებული მოწვევის გარეშე, დედოფლის ოჯახიდან კი სტუმრებს საგანგებოდ იწვევენ. ეს საღ-ამოები უფრო ახლო ნაოესავი ქალებისათვის ეწყობა და ძირითად დროს ცეკვა-თამაშში ატარებენ. ცეკვავენ ქართულს, ჩერქეზულს და ლეკურს. მუსიკოსებს ფულს სტუმრები უხდიონ (აბაზი – 20 კაპიკიანი ვერცხლით). ორდღიანი ლხინის შემდეგ მომდევნო დღეს, საღამოს, მოდის სიძის მოძღვარი, მიიყვანს ახალგაზრდა კაცს მეუღლესთან და დასვამს პატარ-ძლის გვერდით. მათ წინ დააწყობს ორ ლავაშს, გალობის თანხლებით მეჯვარე გამიშვლებული ხმლის წვერით რძალს აუწევს პირბადეს და მის მეუღლეს აძლევს ნებას ქალის მიერ მორთმეული ჯამიდან ღვინო მოსვას. პირბადის მოხსნასთან დაკავშირებით ჯერ მეჯვარეს, შემდეგ კი სიძის ნაოესავებს და სხვა დანარჩენებს ნება ეძლევათ დაასაჩუქრონ პატარძალი ფულით, ან სხვა ნივთებით, რომელთა შესახებაც მოძღვარი ხმამაღლა აცხადებს. ქორწილის მესამე დღეს იგივე მოძღვარი ლოცვების წაკითხვის შემდეგ ახლად დაქორწინებულებს ახსნის გვირგვინებს და წნულებს და ამის შემდეგ მათ ეძლევათ თავისუფლება დატკბნენ საქორწილო სარე-ცლით. /18r/ ქმარი ცოლს ელოდება საწოლში, საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში, თავად ხდის ტანსაცმელს. ამასობაში პატარძლის შემომყვანი ქალები ოთახიდან გადიან სიძისაგან ფულით დაჯილდოვებულები. მეორე დღეს სიდედრს გადასცემენ საქორწილო ქვეშაგებს, რომელიც ან გაახ-არებს მას ქალიშვილის შეურყვნელობით, ან დაამწუხრებს, შეარცხვებს, რომ ახალგაზრდა ქალმა არ ისმინა დედის რჩევები და ვერ შეინახა ქა-

ღწულობა. იმავე დღეს სიდედრი უგზავნის ახალდაქორწინებულებს მურაბას, ხილს, ტებილ არაყს და გამორეცხილ ქვეშაგებს. რამდენიმე დღის შემდეგ, სადილობისას, უკვე ნათესავებითა და უმნიშვნელო საჩუქრებით ეწვევა სიძე-პატარძალს. 40 დღის შემდეგ ნათესავ ქალებს ახალგაზრდები მიჰყავთ აბანოში და ეს დღეც მცირე ქეიფით მთავრდება. აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ქორწილისათვის სპეციალურად მზადდება ფლავი ექვს კაცზე ერთი ლიტრა (9 გირვანქა), იმავე რაოდენობის ხორცი, ასევე, კაცები აუცილებლად სვამებ 5-6 გირვანქა ლვინოს; მათ ამ საქმეში არც ქალები უდებენ ტოლს. დედამთილისა და მაზლის პატივისცემას განსაკუთრებულად ავალდებულებენ რძალს. იქამდეც კი მიღის საქმე, რომ ვიდრე მას შვილები არ ეყოლება, არა ოუ არ უნდა იღაპარაკოს, არამედ ჩურჩულიც არ უნდა ისმოდეს მისი.

გარკვეული დროის შემდეგ სიმამრი იწვევს სტუმრად ახალდაქორწინებულებს. მისი ქალიშვილი ერთი დღით ადრე ეწვევა მამის სახლს. მდიდრული ქეიფის შემდეგ უკვე სიძესაც აქვს 15 დღემდე დარჩენის უფლება, ხოლო წასვლის წინ საოჯახო ნივთებიდან ვერცხლის ნივთს ჩუქნის სიმამრს.

/18v/

გარდაცვლილთა შესახებ

მას შემდეგ, რაც მოძღვარი წესს აუგებს მიცვალებულს, სხეულს განბანენ. აუცილებლად აქცევენ ყურადღებას, რომ განმბანელი იმავე სქესისა იყოს. აცმევენ მარმაშის სუდარას¹¹⁴, ან მდგომარეობისდა შესაბამისად სხვა თხელი ნაჭრისას. მეორე დღეს კრძალავენ ჩვეულებრივი წესით. იმ დღეს უმასპინძლდებიან ღარიბებს და ურიგებენ ფულს. სადილს ეძახიან ქელებს. მოძღვნო დღეს სასულიერონი და საერონი იკრიბებიან გარდაცვლილის სახლში, საიდანაც მიღიან ეკლესიაში, შეა დღის ლოცვის შემდეგ კი – სასაფლაოზე, სადაც მოძღვარი ჯვარს ადგამს საფლავს.

გლოვა გარდაცვლილის გამო

მიცვალებულის დატირებას თან ახლავს ქალების ხმამაღალი კივილი. ამ დროს საჯუთარ თავებს უმოწყალოდ იცემენ, იხოკავენ მკერდს და სახეს, ზედ იხევენ ტანსაცმელს და თმებს იგლეჯენ, შუალამისას გარდაცვ-

¹¹⁴ ტექსტში – Саван.

ლილის ნაცნობები და შორეული ნათესავები იქრიბებიან და დაასვენებენ სხეულს ოთახის შუაგულში. შემდეგ კი ქალები და კაცები რიგრიგობით დაიტირებენ მას. საინტერესოა, რომ მიცვალებულს მოიგონებენ რამდენ-იმე ათეული წლის შემდეგაც კი. გლოვა – ტირილი წყდება სასულიერო პირების მოსვლისას. ლოცვის დამთავრების შემდეგ კვლავ მოუხმობენ ნათესავებს საგლოვად, შემდეგ გადააფარებენ ფარჩის ნაჭერს /19r/ და ოჯახში უფროსი დავარდება რა მის ფეხებთან, იწყებს მოთქმას. სხვები ამ დროს ჩუმად არიან. დაკრძალვიდნ მეორე დღეს კაცები ბრუნდებიან სასაფლაოდან და ქალებს უყვებიან, რომ მიცვალებულს ჰქითხეს, როგორ გაატარე დამეო, ის კი ხმას არ იღებდაო. კიდევ არაერთი დღე აგრძელებენ ქალები გლოვას. მათ ომები გაშლილი კი აქვთ, მაგრამ თავსაფრები ახურავთ. ახლობლები ანუგეშებენ. დაკრძალვიდან მესამე დღეს სამგლოვი-არო ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცებს შეუძლიათ სახლიდან გამოვიდნენ, ქალები კი შვიდი-თხუთმეტი დღე კიდევ რჩებიან სახლში. გლოვის პირველ დღეს მგლოვიარე ქალები ნაცნობების თანხლებით ომაგაშლილები მიდიან საფლავთან. სასაფლაოზე გლოვამ ნებისმიერი შეიძლება შეაძრწუნოს და თანაგრძნობით განმსჭვალოს. იმავე დღეს გარდაცვლილის სახლში ქალებისათვის იმართება შესანიშნავი სადილი. ქალები ჩუმად სხედან. როცა დვინის სმა იწყება, იოლი შესამჩნევია, რომ მიცვალებულის ხსოვნა მიავიწყდებათ და საუბარს იწყებენ ახალჯვარდაწერილ ქალწულებზე და სხვა. ეს ეხება დაბალ ფენებს. ქართველების ტირილი უფრო მოკრძალებულია: მიცვალებულის სხეულს ათავსებენ საგანგებო მოსასვენებელში, ხოლო ორივე სქესის ჭირისუფალნი სხდებიან მეორე ოთახის კუთხეში და იქ გლოვობენ. დაკრძალვის ხაჯვები, სასულიერო პირისთვის გაღებული საჩუქრების გარდა, რაც გარდაცვლილის დარჩენილ ტანსაცმელს გულისხმობს, საქმაოდ დიდია, იმდენად დიდი, რომ ბევრი დარიბდება. /19v/ ქართველები ამ საკითხში გაცილებით მომჭირნენი არიან.

დღესასწაულები

საგანგებო დღესასწაული ეწყობა აღდგომის კვირას სადილის შემდეგ – სომხები და ქართველები (ძირითადად ქალები) წინა საღამოს შეიკრიბებიან ნორაშენის¹¹⁵ სომხურ ტაძართან და სეირნობენ. ბრწყინვა-

¹¹⁵ ტექსტში – Норошени.

ნორაშენი – სომხური ეკლესია, ღვთისმშობლის სახელობისა, მდებარეობს ქვემო კალაში, ახლანდელი კოტე აფხაზის ქუჩაზე. აგებულია XVIII საუკუნეში. დაზიანდა აღა-მაჟად ხანის შემოსევის შედეგად. მისი აღდგენა მიმდინარეობდა 1795-1808 წლებში. მიეკუთვნება ცენტრალურ გუმბათიანი ტაძარების ჯაფას და გეგმით უახლოვდება XVII-XVIII

ლე შვიდეულის ორშაბათს გააქვთ ტფილისის მახლობლად ჩრდილოეთის მთაზე მდებარე გამოქვაბულში, სადაც თავს იყრიან ქართველი, სომეხი და მაჰმადიანი ქალები, კაცები კი მარტო ქართველები და სომხები არიან. ამ ქვაბულში ლოცვების წასაკითხად არანაირი პირობა არ არსებობს. შეუძლებელი შეუძლებელის (2-3 საათისათვის) უკვე დიდგვაროვნებიც გამოჩნდებიან საყურებლად. მთელი ხალხი 2 ნაწილად იყოფა და ერთმანეთს მწყობრად და გაშმაგებით ჯოხებით შეებიან. ამ თამაშებს თათრულად და ქართულად ჯირითობას, დღესასწაულს კი გორიჯვარობას ეძახიან. წელიწადის სხვა დროს ეს გამოქვაბული ცარიელია. იმავე დღეს დღესასწაული იმართება სომხურ ტაძარ სურბნიშანში. კვირაძალს ქართველები წმ. თომას ხატს გამოასვენებენ ტფილისთან ახლოს, ჩუღურეთის მაღალ გორაზე მდებარე ამჟამად დანგრულ ტაძარში და იქ დიდი ოდენობით ხალხი იყრის თავს, განსაკუთრებით ბევრია ღვთისმოსავი ქალი, /20r/ ახალგაზრდები ჯირითობენ. ამ დღესასწაულს კვირაცხოვლობას ეძახიან. იმავე დღესვე იმართება დღესასწაული ვანქის სომხურ ეკლესიაში, სადაც, ძირითადად, თავს იყრიან სომხები. აღდგომის მესამე კვირას სეირნობით მთავრდება დღესასწაული ქაშუეთსა და სომხურ მოღნინში. აღდგომის მეხუთე კვირას უმნიშვნელო დღეობაა კალოსუბნის მცირე ტაძარში¹¹⁶.

ამაღლება დღეს დიდი დღესასწაული – თელეთობა – იმართება ტფილისთან ახლო მდებარე სოფელ თელეთში, სადაც სომხურ ეკლესიაში ინახება წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედი ხატი. წინა დღით, ნაშუა-დღევს ტფილისის მცხოვრებლები 10-15 კაციან ჯგუფებად დაყოფილნი ქვეითად, დროშებით აღჭურვილნი, მუსიკის თანხლებით, თელეთისაკენ მიემართებიან. ქალები ძირითადად ამხედრებულები მიემგზავრებიან. საგზლად მიაქვთ დროისა და მანძილის შესაბამისი საგზალი. დიდგვაროვანთაგან იქ ცოტა ვინმე თუ დაიარება. ეკლესიასთან მომლოცველები მთელ დამეს თეორად ატარებენ, ამაღლების მეორე დილით შესაწირად ცხვრებს კლავენ. წირავენ თაფლის სანთელს, საკმეველს და ფულს. შემდეგ ტფილისის ახლო-მახლო ბაღებს მიაშურებენ მოსალხენად. ნაშუადღევს ტფილისიდან ორივე სქესის უამრავი მაცხოვრებელი მახლობელ ბაღებში იკრიბება, სადაც იმართება დოლი, ჯირითობა, რომელიც საღამომდეც კი გრძელდება. მეშვიდე კვირას ზეიმობენ მთაწმინდაზე, /20v/ ანუ ტფილისის დასავლეთით იშიტუტრუქის მთაზე, სადაც გაშენებულია მოცრო მონას-

საუკუნეების იმ ქართულ ეკლესიებს, რომლებიც მდებარეობს ქსნისა და არაგვის ხეობებში (ანანურის დვთაება, ლარგვისი). ეკლესია აგურითაა ნაგები (თბილისის ენციკლოპედია, გვ. 714-715).

¹¹⁶ კალოუბნის ეკლესია წყაროებში „სალოსუბნადაც“ მოიხსენება. ეკლესია მდებარეობდა კინოთეატრ „რუსთაველის“ აღგიზზე. აქვე ყოფილა სასწავლებელიც (იხ.: თ. ბერიძე. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბ. 1977, გვ. 54).

ტერი წმ. დავით გარეჯელის სახელზე. იმ დღეს ტარდება სხვათა მსგავსი ცერემონიალი ჯირითობის და მსხვერპლშეწირვის გარეშე. ამ დღეობას მთაწმინდობას ეძახიან და ყოველ ხუთშაბათს იკრიბებიან სომეხი და ქართველი ქალები სალოცავად. ითვლება, რომ დავით გარეჯელი უშვილობისაგან კურნავს.

თებერვლის თვეში სომხები წმ. გიორგის სახელზე ინახავენ ერთკვირიან მარწვას, რომლის ხატიც ასვენია ტფილისიდან სამხრეთი. დღეობის წინა დღეს ქალწულები მარილინს ჭამენ, რათა სიჩმარში ნახონ საქმრო, რომელიც მათ „დაარწყელებს“. მეორე დღეს მონასტერში სალოცავად მირითადად ქალები მიდიან. ამ დღესასწაულს სურბსარქისობას ეძახიან. წმ. გიორგის ბევრი აქაური მაჰმადიანიც სცემს თაყვანს¹¹⁷.

აგვისტოში ღვთისმშობლობის მარწვაა, რომელიც 15 დღე გრძელდება, აქედან ერთი კვირა შედარებით იოლი, მეორე კი მძიმე მარწვაა. ამ დღეებში ქართველი და სომეხი ქალები ძირითადად ფეხით დადიან სხვადასხვა ეკლესიებში, მათ შორის, აკითხავენ დანგრეულ ტაძრებსაც და შეძლებისდაგვარად შესაწირიც მიაქვთ. უნდა ვიცოდეთ, რომ სომხები სხვა ქართულ ეკლესიებთან შედარებით მეტ პატივს სცემენ სიონს და /21r/ მასში დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს, ხოლო ქართველები – სომხური ტაძარის ფეხსაინს¹¹⁸ და იქ დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს. ამ დღესასწაულის, ანუ ღვთისმშობლის მიძინების წინა დღეს, საღამოს პირზე ფეხსაინის მიდამოებში იკრიბებიან ორივე სქესის სომხები და ღამეს ათევენ ლოცვაში. შეუძლის ლოცვის შემდეგ ბრუნდებიან სახლებში.

სექტემბრის თვეში სომხები დღესასწაულობენ ჯვართამაღლებას. ცერემონია ტარდება იმ ეკლესიაში, რომელსაც დაასახელებს სომეხთა მღვდელმთავარი. ამ დღესასწაულზე იკრიბებიან ძირითადად სომხები, ქართველი ცოტაა. ლიტურგიის დასრულების შემდეგ არქიელი სასიხარულო შეძახილების თანხლებით აღმართავს ჯვარს. ამ დღესასწაულს ჯვართამაღლებას ეძახიან.

ფერისცვალების წინ სომხები ერთი კვირა მარწულობენ. მათში განსა-

¹¹⁷ ამ შემთხვევაში გაუგებარია წმ. გიორგის თაყვანისცემას რატომ ეძახიან სურბსარქისობას. შესაძლებელია ეს აღრევა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ ორივე წმინდანი (წმ. გიორგი და წმ. სერგი) მხედარია?!

¹¹⁸ ტექსტში – პეტხაინ.

ფეხსაინი – იგივე ზემო ბეთლემის (თავდაპირველად ბეთლემი, შემდეგ ფეხსაინი) მაცხოვრის შობის ტაძარი. XVIII საუკუნეში ეკლესია საფუძვლიანად განაახლეს. ეკლესიის მშენებლობისთვის 1740-იან წლებში მნიშვნელოვანი შესაწირი გივი ამილაზვარმაც გაიღო. არსებული ცნობები ეკლესის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს. XIX საუკუნეში ეკლესიას სომხები ფლობდნენ, თუმცა მას ქართველებიც წმინდა ადგილად თვლიდნენ და ამიტომ ქართული მრევლიც ჰყავდა (თბილისის ენციკლოპედია, 336-337, 867).

კუთრებით მონდომებულები თითქმის 6 კვირა ინახავენ მარხვას, მხოლოდ შაბათსა და კვირას მიირთმევენ ყელაფერს ხორცის გარდა. ტფილისის მახლობლად, ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს ახალაგებული სომხური ტაძარი სურბკარაპეტის¹¹⁹ სახელობაზე, სადაც მომარხულენი ყოველ კვირას დიღით მიდიან. ფერისცვალების დღესასწაულზე აქ ბევრი ხალხი იკრიბება და ამ დღესასწაულს სურბკარაპეტობას ეძახიან.

/21v/ ახლანდელმა ბატონმა მთავარსარდალმა¹²⁰ თავადაზნაურებსა და სხვა საპატიო პირებს ნება დართო დღესასწაულებზე ესეირნათ სახაზინო ბაღში. ეს ბაღი დიდია და ლამაზი, მრავლადაა მსხმოიარე ხეებითა და ვენახით გაწყობილი ხეივანი. ახლად აგებული გროტი, მცირე ზომის სახლი და ყოველთვის ცივი წყლით სავსე ქვის აუზი ლამაზ ხედს ქმის. ყოველ კვირას იმ სახლთან უკრავს მუსიკა, მღერიან და სეირნობენ, ასე-თი მოკრძალებული სეირნობა უფრო მოსწონთ კეთილშობილი წოდების მცხოვრებლებს, ვიდრე ადრინდელი ხმაურიანი ღრეობა, რომელიც ხშირად მთავრდებოდა ჩხუბითა და მკვლელობითაც კი.

ქალთა ხელმოსაქმეობა

ქალები ქარგავენ ოქროთი და ვერცხლით სხვადასხვა ფერის აბრე-შუმზე, მცირე ზომის ხალიჩებს, ბალიშის პირებს (მუთაქა, დორისპირი), ცხენის მოსართავებს, საძაგრავებს, ჩულებს, ჩანთებს; საქილებსა და ბევრ სხვა მსგავს რამების – ხავერდზე, ტილოზე, ატლასისა და სხვა ქსოვილზე. ამას გარდა, ქარგავენ ქალის თავსაფრებს, სამკერდებს მოსირ-მავენ. ქარგავენ პისტოლეტების ჩასადებებს, თოფის ჩახმახებისათვის – შალითებს და შესახვევებს კაჟისათვის, საულვაშე სახვევებს; /22r/ ქისებს თამბაქოსათვის, საათის ჩასადებებს და თასმებს ფეხსაცმლის შესაკრავად და შემოსახვევადაც, საეკლესიო სამოსის შესაკრავებს. აბრეშუმისაგან ქსოვენ ქალის წინდებს, შესაკრავებს, საფულეებს, ქისებს, თასმებს, ხელ-თათმანებს და ხალიჩებს. ბამბეულისაგან – ხელთათმანებს, გრძელ და მოკლე წინდებს და სხვა.

თონის შესახებ

თონეს ამზადებენ თიხის სამი გამობერილი ნაწილისაგან, ათავსებენ

¹¹⁹ ტექსტში – Суракаропити.

¹²⁰ იგულისხმება მთავარმმართებელი აღექსეი ერმოლოვი.

მათ მიწაში ცილინდრისებურად. იგი სიგანეში 1 არშინზე¹²¹ განიერია, სიმაღლეში 5 ჩეტვერტის¹²² ჭოლია. გამოიყენება პურის საცხობად. ცომს აბრტყელებენ და აკრავენ დაფით. როდესაც პური მზადაა, სველ პირ-სახოცს გადაუსვამენ და ხსნიან თხელი ბრტყელი ლითონის ფირფიტით, რომელსაც მეორე მხარე მოკაუჭებული აქვს. თითოეული პური ორ გირგანქამდე¹²³ იწონის. როგორც წესი, თონეში საცხობად შეშას 7 ეზოდან აგროვებენ, ეს გამოწვეული უნდა იყოს სიღარიბით.

ქალების ცრურწმენები¹²⁴

აღდგომიდან მოყოლებული ამაღლებამდე, ყოველ ორშაბათს, დილით ადრე ცრუმორწმუნე ქალები ჩუმად გადიან მინდორში და ოთხივ მხარეს მიწამდე თაყვანს სცემენ, კბილებით გლეჯენ /22v/ ბალახს და ხმაამოულებლივ ბრუნდებიან სახლში. ამტკიცებენ, რომ ამ საქციელით ღვთისმშობელს ბაძავენ.

ტფილისის სამხრეთით, კლდეზე დგას ტფილისში მაცხოვრებელთა სახლები და სომხური ეკლესია, რომელსაც ეძახიან ფეთხაინს. ერთ დღეს ჩემი სახლის ფნიჯრიდან დავინახე, როგორ გამოვიდა ერთი სომხის ქალი ამ ეკლესიდან, პირით დასავლეთით მიბრუნდა, პირჯვარი რამდენჯერმე გადაიწერა და მიწამდე თაყვანი სცა; შემდეგ მიბრუნდა ჩრდილოეთისაკენ და იგივე გაიმეორა. ცნობისმოყვარეობამ წამბლია და მისკენ გავემართე, რომ გამეგო მისი ასეთი საქციელის მიზეზი. იქ მისულმა კლდის კუთხეში ძველი კედელი დავინახე. მასა და კლდეს შორის წვრილი ქვები ეყარა, იზრდებოდა მაღალი ბალახი, რომელზედაც ჩანდა ადამიანისა და საქონლის კვალი. ვერაფრით ვერ დავადგინე ქალის ამგვარი საქციელის მიზეზი და იძულებული გავხდი მომეტებნა და მისოვის მეკითხა. მანაც ამიხსნა, რომ ამ ადგილას დაყრილია ღვთისმშობლის საფლავიდან ჩამოტანილი მიწა.

ტფილისის დასავლეთით, მთაზე არის ტაძარი სახელად მთაწმინდა. ღვთისმოსავებმა, რომელთაც იქ მისვლა სწადიათ, თავზე უნდა დაიდგან ქვა, პირში ჩაიგუბონ წყალი. სიარულისას ეს წყალი აქეთ-იქეთ უნდა მოასხუროს იმ აზრით, რომ ჩანაფიქრი აუსრულდეს. /23r/ როდესაც ჯვრისწერისათვის ტაძარში შეიყვანენ ნეფე-პატარძალს და მოძღვარი ახ-ალგაზრდების თავებს შეატყუპებს, სიძის უკან მდგომი კლიტეს ჩაკეტავს

¹²¹ ≈70 სმ.

¹²² ≈90 სმ.

¹²³ ≈800გრ.

¹²⁴ ტექსტში – Суеверие и предразсугти.

და გახსნის მაშინ, როცა ახლადშეუდღებულებს საწოლში მოათავსებენ. ამას იმიტომ სჩადიან, რომ სიძე დაიცვან ბოროტისაგან. მშობიარე ქალის ბოროტისაგან დასაცავად იმ მხარის სახურავიდან, სადაც წევს, იღებენ მიწას, ახვევენ ნაჭერში და მისი ბალიშის ქვეშ დებენ, შამფურზე წამოც-მულ ხახვს წვავენ და მისი საწოლის გარშემო შემოატარებენ შავი თხის მატყლისაგან გრეხილ თოკს.

თუ მშობიარეს მოლოგინების შემდგომი ტკივილები დაეწყება, სინზე დადებენ ძველ გაცემილ საქალამნე ტყავს, გადააუარებენ თავსახურავს და ისე მიიტანენ ქალთან, იმ მიზნით, რომ საზიზდარი სანახაობისა ქალს შეეშინდებოდა და შიშით გადაიტანდა ტკივილს. იმავე მიზნით ბებია ქალი სხვა ქალებს სარტყელებს შემოხსიდა და დაულაგებდა საწოლზე ახლად მოლოგინებულს. შემდეგ გაშიშვლებული ხმლით აიღებდა სათითაოდ და ამბობდა: ვის, ვის, ვის რა? მოლოგინებული პასუხობს: ჩემი ტკივილი.

რომელ სახლშიც არის ახლადშობილი, /23v/ იმ სახლთან აწყობენ მოტანილ საჩუქრებს. ფიქრობენ, რომ ამით მას ავადმყოფობას აარიდებენ.

არასასურველი ამინდის ან სეტყვის ასარიდებლად ვირს თვალებზე ტალახს უსვამენ, ტალახს ახმობენ ცეცხლზე სპილენძის ქვაბში, მღვდ-ლის ოჯახიდან იპარავენ ცოცხს და წვავენ, გაუშიშვლებენ სიყრმის შვილს უკანალს და წვიმას მიუშვერენ, ან მასვე ამოუდებენ იღლიაში სეტყვის მარცვლებს. ხანგრძლივი გვალვის დროს თლიან ბიჭის ფორმის თოჯინას, შემოსავენ, თავს ნაჭრით წაუკრავენ, ასხამენ წყალს და დააქვთ სახლებში. სოფლელი ქალები კი კისერზე დაიდგამენ უღელს და ისე დადიან სოფელში.

თუ მაისის შვიდში წამოვა წვიმა, მაშინ ქალები წვიმაში თმაგაშლი-ლები დადიან, თმები რომ უკეთესად გაეზარდოთ.

ახალი წლის დამეს, შუალამე გადასულზე, მოსამსახურეს გაგზავნიან მტკვარზე დოქით მტკვარის წყლის მოსატანად. თან გაატანენ კვერს, ნუშს, ქერგადარეულ ქიშმიშს და ღვინოს, იგი მდინარემდე უხმაუროდ უნდა ჩავიდეს. ყველაფერი გაატანოს წყალს, გაავსოს დოქი წყლით და უხმაუროდვე დაბრუნდეს. ეზოში შესვლის შემდეგ ჭიშკრიდან დირემდე მიწაზე უნდა მოასხუროს წყალი, ხოლო შესვლისას დაიძახოს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ჩემი ფეხი, კვალი ანგელოზისა. მსახურმა ლექსი უნდა იცოდეს: /24r/ ბარაქა მოგცეთ და ღმერთმა უბედურება გაცილოთო. ფიქრობენ, რომ ამ საქციილით ახალი წელი ბარაქიანი და კეთილი იქნება. განათხოვრებულ ნივთებს ახალი წლისთვის უკან იბრუნებენ ცუდის თავიდან ასაცილებლად.

ტფილისის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებები

ძველი სამოსელის შეცვლა უცხოელთა წამჩედაობით.

დაბალი ფერის ქალები ისვამენ ფერუმარილს, თვალებსა და წარბებს შავად იღებავენ მელნის კაგლით, იფართოვებენ. თავად-აზნაურთა ქალები ამას თანდათან ერიდებიან.

კაცებსა და ქალებს, რომელთაც აქვთ საუკეთესო ტანსაცმელი, მას შხოლოდ სადღესასწაულოდ იცვამენ, ჩვეულებრივ დღეებში კი უბრალო ტანსაცმელს იცვამენ. ქალები უფრო იპრანჭებიან, იმიტომ რომ ძირითადად ისინი დადიან ქორწილებსა და სხვა შეკრებებზე. კაბის გარდა, თავზე, მკერდზე, ყურებსა და თითებზე სხვა ბევრ სამკაულს ატარებენ. ზოგადად, კაბები ქალებს ძღვიდრული აცვიათ, ამიტომაც მათი ქმრები ვალიდან ვერ ამოდიან.

ეკლესიებში, ქორწილებსა თუ სხვა შეკრებებზე მამაკაცები თვალყურს ადევნებენ, რომ სათანადო, ასაკისა და ღირსების შესაბამისი ადგილი დაიკავონ, /24v/ და თუ ვინმე შარახვეტიამ დაიკავა საპატიო მოქალაქის კუთვნილი ადგილი, მაშინ მოკრძალებულად მიანიშნებენ შეცდომაზე და ძალდაუტანებლად, პატივისცემისაკენ მოუწოდებენ. ამ წესს იცავენ ეკლესიებშიც. ქართველი ქალები ასეთ შემთხვევაში ძალიან მომთხოვნნი არ არიან.

ქალებს იმდენად უყვართ აბანოები, რომ დილიდანვე ემზადებიან და თან სადილიც მიაქვთ. ზოგჯერ მეორე დღემდეც კი რჩებიან.

აბანოებში სივიწროვისაგან ხშირად ქალებს შორის აუტანელი ხმაური და ლანძღვა გინებაა. წარჩინებულები კი უხმოდ ისმენენ ყოველივეს. აბანოებისადმი ლტოლვა იმდენად ძლიერია, რომ ვერც უამინდობა, ვერც ქარიშხალი ვერ აკავებს მათ სურვილს, ამიტომაც ხშირად ხდებიან ავად და კვდებიან კიდევაც. ბანაობენ არა უმეტეს ერთი საათისა. აბაზანისაოვის რიგში წარმომავლობის მიუხედავად ყველა ერთნაირად დგას.

ტფილისის ორივე სქესის მაცხოვრებლები ქველმოქმედებისადმი არიან მიღრეკილნი და ცდილობენ მოწყალება დაარიგონ ფარულად. /25r/ ეს თვისება გამოარჩევს ქალებს, კაცებს კი აუცილებლად უნდათ, რომ მათი ნამოქმედარი მცირედი სიკეთეც კი ყველასაოვის საცნაური გახდეს – მოწმის გარეშე არც ერთი მათგანი მათხოვარს არაფერს არ მისცემს.

იმერეთის მიწის ნობათი და მისი მაცხოვრებლების ზნე-ჩეულებები

იმერლები ბერძნულ სარწმუნოებას მისდევენ, ზოგადად, გაუნათლებლები არიან. მხოლოდ ზოგიერთმა თავად-აზნაურმა იცის წერა-კითხვა. დაბალი ფენა უხეშია. სიღარიბე თითქმის ყველას ხვედრია. ზოგიერთი თავადი ძალიან მდიდარია, ზრდილობიანები არიან, არიან მამაცნი თავის სამშობლოში მტერთან ბრძოლისას, მის გარეთ კი კარგავენ მეომრულ სულს. აზნაურები გამორჩეულად სტუმარომოყვარენი არიან. ხვნა-თესვა ცუდ დღეშია. ადრე მაპმადიანებთან სიამოვნებით ვაჭრობდნენ თავისი თანამემამულებით, უფრო ამით ირჩენდნენ თავს, ვიდრე შრომით. რუსთა მმართველობის ხანაში ადამიანებით ვაჭრობა შეწყდა. მიწა ისეთი შავია, რომ ერთი მინდვრიდან წლის განმავლობაში იღებდნენ ხორბალს, ღომს და მწვანილს ერთიმეორეს მიყოლებით. მაგრამ მათი მთავარი ნათესი არის ღომი. ყურძნი და სხვა მსხმიარე ხეები ტყეებშიც იზრდება ველურად. ცხვარი იგებს წელიწადში ორჯერ¹²⁵, მაგრამ ცხენებისა და მსხვილფეხა საქონლის ნაკლებობაა.

ქართლისა და ანანურის მხარის შესახებ

აქაც ბერძნულ სარწმუნოებას მისდევენ. უგვანონი, ზოგადად, /25v/ გაუნათლებელნი, სამაგიეროდ, თავად-აზნაურები და გორის მოქალაქენი განსწავლულები, ზრდილობიანები არიან. უფრო მდიდრულად ცხოვრობენ, ვიდრე იმერლები. გორის აზნაურობა ომში სიმამაცით იყო გამორჩეული. მთის მოსახლეობა განსაკუთრებულად მამაცი და მოხერხებულია ძარცვა-გლეჯაში, იმდენად, რომ ვერცხლის მანეთისთვის არც საკუთარ თავს დაზოგავენ და არც იმას, ვისაც დაესხმიან. ქართლელები ზოგადად შრო-

